# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 16 მაისი, 2009 წელი.

№ 96 (6197)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




## გახდება ალექსანდრე ებრალიძე საქართველოს პრეზიდენტი? 8

### თბილისის ალების ბიზნეს – გეგმა

## პატიმრებს სახლებში გაუშვებენ?! 2

## ვინ არის რუსეთში მცხოვრები ქართველების პრეზიდენტობის კანდიდატი?



## დავით ბერძენიშვილი: ალიანსს დიდი უპირატესობა აქვს ქუჩაში 6



## გიორგი ონიანი: უკომპრომისებოდ სიტუაცია, შესაძლოა, ჩიხში შევიდეს 3

### ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან

**ნინო ბურჯანაძე:** („დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“)

– პარლამენტში თავმჯდომარეობის დროს არავისზე ნაკლებ ძალისხმევას არ ვხარჯავდი, არავიზე ნაკლები გოგო არ ვიყავი, მაგრამ ვერ შევძელი ამ სისტემის ჩამონგრევა, ამ სისტემისთვის ხელის შეშლა.

(პარლამენტის წინ გამართული მიტინგიდან, 13 მაისი).

## ჟურნალისტიკა და ტრადიციული ქართული ბუქნი 5



# იმედიანი „ბოლო ზარი“





გუშინ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „ბოლო ზარი“ დაირეკა: ბოლო ზარი — მეთორმეტეკლასელთათვის, პირველი საზაფხულო არდადეგების მაუწყებელი — პირველკლასელთათვის. არეულ, დაძაბულ პერიოდში უხდებათ ახალგაზრდებს სკოლის დატოვება და ცხოვრების დიდ გზაზე გასვლა. იმედიანი ყოფილიყოს „ბოლო ზარი“ თქვენთვის, ახალგაზრდებო!



ვიდეოხიდი

# ვინ არის რუსეთში მცხოვრები ქართველების პრეზიდენტობის კანდიდატი?

## „უცნობმა“ რუსი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა

**საერთაშორისო სააგენტო „რია-ნოვოსტის“ თბილისის ოფისში გუშინ ორი საინტერესო ვიდეოხიდი შედგა. ერთი, 14-15 მაისს სოჭში გამართულ საქართველოს ხალხთა ასამბლეის კონგრესს მიეძღვნა. როგორც ცნობილია, სოჭის ზამთრის სასახლის თეატრში რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები შეიკრიბნენ და ჩვენი ქვეყნის ბედზე საჯაროდ იმსჯელეს.**

ვიდეოხიდში სოჭი-თბილისი ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ, კონგრესის ხელმძღვანელმა გოჩა ძასოხოვმა და ასამბლეის წევრმა პეტრე ჩხეიძემ მიიღეს მონაწილეობა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს.

შემოგვიერთდით, ვითანამშრომლოთ, — ამ ეგიდით გამართულ შეხვედრაზე სამომავლო პერსპექტივებზე ერთად იმსჯელეს ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა, — აღნიშნა **გოჩა ძასოხოვმა,** — ყველაფერი მოლაპარაკებით იწყება, ხოლო მობოდიშებისა და მოწიწების გარეშე არაფერი ხდება. კეთილმეზობლური ურთიერთობები გაგვიფუჭდა და ერთმანეთს ვერ ვუგებთ. აგვისტოს მოვლენები ჩვენი საერთო ტრაგედიაა, ხოლო ამ ომ-



ში ვინც ჩაგვითრია, ეს ნათელია. ამაზე „საკნების ქალაქი“ მეტყველებს. რუსეთის ნაბიჯი იყო იძულებითი, რათა ოსები დაეცვა, — დასძინა მან.

ძასოხოვის ასეთ პოზიციას ქართველ ჟურნალისტთა მწვავე კითხვები მოჰყვა. ასამბლეის ვებ-გვერდზე მოცემულ ინფორმაციაში თითქმის არაფერია ნათქვამი, რომ აფხაზეთი და ოსეთი ოდესმე მაინც შედიოდნენ საქართველოს შემადგენლობაში. რუკაზეც კი ეს ტერიტორიები მოჭრილია. ასე გინდათ კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენაო? — ჟურნალისტის ამ კითხვას ძასოხოვმა უპასუხა: უამრავი შეცდომაა გაპარული. მაგალითად ისეთიც, თითქოს თამარ მეფის ქმარი აფხაზი იყოო.

რახან კონგრესზე ერთად მოიყარეს თავი ქართველებმა, აფხაზებმა, ოსებმა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ერთად ცხოვრება უნდათ, — დასძინა გოჩა ძასოხოვმა. მეტიც, მან თავისი გვარის წარმომავლობაზეც გაამახვილა ყურადღება: ჩემი გვარი XII საუკუნიდან მოდის, ჩვენი ფესვები საქართველოშია. ეს ის დროა, როცა ქართველთა და აფხაზთა სახელმწიფო არსებობდა და საერთო საქმეს ემსახურებოდნენო.

გოჩა ძასოხოვი მიიჩნევს, რომ ოს, აფხაზ და ქართველ ერს შორის ისტორიული ერთობა ისედაც არსებობს, მთავარია აღდგეს ეკონომიკური ერთობა, ბიზნესურთიერთობა, ვაჭრობა. სხვადასხვა ეკონომიკური პროექტების განხორციელება უფრო მეტს მოგვცემს, ვიდრე ჩვენი ურთიერთობების მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში განხილვა, — დასძინა მან.

ადამიანურ ურთიერთობებზე ილაპარაკა ბატონმა **რეზო ჩხეიძემაც.** მან გაამხილა, რომ ქართველი კლასიკოსის ლეო ქიაჩელის ნაწარმოების „ჰაკი აძბას“ ეკრანიზაცია სურს, სადაც ქართველები და აფხაზები მიიღებენ მონაწილეობას და კიდევ ერთხელ აჩვენებენ მსოფლიოს ქართველისა და აფხაზის მეგობრობის საოცარ მაგალითსო.

**პეტრე ჩხეიძემ** კომენტარი გააკეთა სოჭის კონგრესზე ალექსანდრე ებრალიძის გამოსვლაზე, რომელიც თითქოს პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს, — მან ეს ინფორმაცია უარყო. ალექსანდრე ებრალიძე საქართველოში დაიბადა, პატრიარქის ნათლულია, ის არის პატრიოტი როგორც საქართველოსი, ისე რუსეთისა, — დასძინა გოჩა ძასოხოვმა.

რაც შეეხება, საქართველოს ნეიტრალიტეტს, რომელსაც ემხრობა სოჭში შეკრებილი ასამბლეა, პეტრე ჩხეიძემ პირდაპირი პასუხი ვერ გასცა. კითხვაზე, ასეთი პოზიციის გამო თუ გაუწევს რუსეთი საქართველოს ანგარიშს და თუ დააბრუნებს ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს საქართველოს იურისდიქციაში, მან უპასუხა, რუსეთში, ვაშინგტონში, ნიუ-იორკში ჩემი მუშაობის დროს ხშირად განგვიხილავს ეს საკითხი, თუმცა ძალიან რთული გადასაწყვეტია, რომ ეს ერთბაშად მოხდესო.

სოჭში გამართული კონგრესი დადებითად შეაფასეს ვიდეოხიდის სტუმრებმა, ერთმანეთის მოსმენა რომ დავიწყეთ და ამით პირველი ნაბიჯი გადავდგით ერთმანეთისკენ, კარგია, რაც აუცილებლად შედეგიანად დამთავრდებაო, — დასძინეს მათ.

**ვიდეოხიდის** დამთავრებისთანავე „რია-ნოვოსტის“ სტუდიას მომღერალი **„უცნობი“** ეწვია. ამჯერად ის იყო „რია-ნოვოსტის“ მოსკოვის ოფისის სტუმარი, რადგან რუსი ჟურნალისტების დიდი ინტერესი გამოიწვია ტელეკომპანია „მაესტროს“ რეალითი-შოუმ „საკანი №5“. ჟურნალისტის კითხვას, რა განცდა გაქვთ, რომ ჩვენი შეხვედრის გამო მოგიწიათ საკნის დატოვებაო? უცნობმა უპასუხა: რა მნიშვნელობა აქვს ადამიანი საკანში იქნება თუ გარეთ, მთელი ქვეყანა მაინც საკანიაო. ერთი ადამიანი წყვეტს საქართველოში როგორ გადაღებონ სახლები, როგორი კლიპი გადაიღონ, ვინ იჯდეს ციხეში... ჩვენთან პოლიტიკური პოლიცია ბატონობს, — აღნიშნა მან.

„უცნობი“ რუსების მისამართითაც არ მოერიდა საყვედურს და თქვა: ქართველმა ხალხმა არ ცნო სააკაშვილი პრეზიდენტად, თუმცა მას ლეგიტიმაცია მისცეს ამერიკამ და რუსეთმა (მის ინაუგურაციას რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ესწრებოდა). მომღერალმა ვრცლად ილაპარაკა თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე, 6 მაისს შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსთან მომხდარ მოვლენებზე, ხალხის წინააღმდეგ ძალადობაზე, ზოგადად პოლიტიკურ კრიზისზე.

„უცნობს“ ალექსანდრე ებრალიძეზეც ჰკითხეს, მან თქვა, არ ვიცნობ, თუმცა თუკი ის პოლიტიკურ პროცესებში აპირებს მონაწილეობას, ჯერ დაამტკიცოს, რა შეუძლიაო. სააკაშვილის წასვლის შემთხვევაში, „უცნობი“ რუს ჟურნალისტებს შეპირდა, რომ ომის რიტორიკა გაქრება და ყველა ერთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა აღდგება.

**ნია ფიფია**

განსჯა

# „ვინ შეკაზმავს ცხენს“

**„ცხენი, ცხენი, მთელს ჩემს სამეფოს ერთ ცხენში გავცვლი!“ — იძახდა გასაქცევად გამზადებული რიჩარდ III.**

**„ცხენზე ჯდომა ხომ არ დაგვიწყებია?“ — ჰკითხა სტალინმა ჟუკოვს, როცა გამარჯვების აღლუმის სცენარს განიხილავდა.**

ჯერჯერობით არც გამარჯვების აღლუმის ჩატარების დრო დამდგარა და არც გასაქცევად ემზადება ვინმე, მაგრამ როგორც საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან სჩანს, „ორივე ცხენის“ („გამარჯვების აღლუმზე“ ლიდერისთვის განკუთვნილის და „გაქცეულისთვის „მთელს სამეფოში“ გასაცვლელის“ძ, „შეკაზმვაზე“, პოლიტიკურ ძალთა სულ უფრო მცირე რაოდენობა აცხადებს აქტიურ პრეტენზიას.

ოპოზიციის წარმომადგენლებისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრის დროს, ნათლად გამოიკვეთა ხელისუფლების პოზიცია აქციებზე დაყენებულ მოთხოვნაზე.

სააკაშვილმა არამც თუ ოპოზიციის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე განაცხადა უარი, მის მიერ შეთავაზებული წინადადებებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ ის აპირებს სხვადასხვა „მყვირალა“ დასახელებების მქონე კომისიებში ოპოზიციისთვის ადგილების შეთავაზებით, დროში გაწელოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი, ხოლო როგორც საქართველოს მოსახლეობის „არაინფორმირებულ ნაწილში“, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში, შექმნას „კონსტრუქციული და დემოკრატიული“ მმართველის იმიჯი.

პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს, მაშინვე მხარი აუბეს ე.წ. „საპარლამენტო ოპოზიციის“ წარმომადგენლებმა და არა მხოლოდ „სავარაუდო ცვლილებების“ „მზა რეცეპტები დადეს“, ერთმანეთსაც დაუპირისპირდნენ, რაც ღლევანდელ ფონზე საკმაოდ სასაცილოდ ჩანს.

ამ თემებზე ნამდვილად არ გავამახვილებ ყურადღებას, რადგანაც თვით „საკონსტიტუციო ცვლილებების“ ავტორები („ქრისტიან დემოკრატები“) არ აღიქვამენ სერიოზულად თავიანთი „პროდუქტის“ გარშემო პოლემიკას და პარლამენტის ერთ-ერთი წევრის, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერის მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე კომენტარი ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გაკეთებინეს.

ახლა უფრო სერიოზულ საკითხებს დავუბრუნდეთ და რადიკალური ოპოზიციის ორ „ფრთაზე“, „რადიკალურ“ და ძზომიერ“ „ფრაქციებზე“ გავამახვილოთ ყურადღება.

მინდა გთხოვოთ, რომ სიტყვა „ზომიერის“ წაკითხვის შემდეგ, არ იფიქროთ, რომ 1793 წლის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის პარლამენტში შექმნილ „ზომიერების“ ფრაქციასთან ვავლებდე რაიმე პარალელს.

არავითარ შემთხვევაში. თუნდაც იმ „მარტივი“ მიზეზის გამო, რომ ფრანგმა „ზომიერებმა“, ძალიან ცუდად დაამთავრეს პოლიტიკური მოღვაწეობა, ჩვენს „ზომიერებს“ კი ჯერჯერობით საკმაოდ „ნათელი მომავალი“ უჩანთ წინ.

ვერაფერს ვერ ვიტყვი რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის „დასავლეთის“ მიერ მიცემული გარანტიების შესახებ, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ „დასავლურ სტრუქტურებს“ საშინლად არ უყვართ მკვეთრი რადიკალიზმი. ვერ იტანენ სიტყვებს „აუცილებლად“ და „არასდროს“.

მიუხედავად იმისა, როგორც არ უნდა მოითხოვდეს არსებული სიტუაცია, არ უყვართ სიჩქარე.

ამ ყველაფერს თავისი კონკრეტული მიზეზები აქვს, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „დასავლურ ღირებულებებზე“ მკვეთრად ორიენტირებული „ალასანიას ალიანსის“ „ზომიერი პოლიტიკა“ სრულიად გასაგებია.

რაც შეეხება რადიკალური ოპოზიციის „რადიკალურ“ ნაწილს, აქ რამდენიმე საინტერესო ძალა გამოიკვეთა.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ოპოზიციის რადიკალური ნაწილის ფლაგმანად ნინო ბურჯანაძე წარმოჩინდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნინო ბურჯანაძეს დასავლეთის გავლენიან წრეებში საკმაოდ კარგი კავშირები აქვს. ის დღემდე ამ კავშირებს აქტიურად არ იყენებდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მისმა პოზიციამ საზოგადოებაში პატივისცემა და მხარდაჭერა დაიმსახურა, იგი ალბათ „აამოქმედებს ამ ბერკეტებს“ და შეძლებს თავის თავზე ლიდერის პასუხისმგებლობის აღებას.

(ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ჩემთან საუბარში, თავისი პარტიის პოზიცია განმარტა როგორც „კონსტრუქციული ოპოზიცია“. მე თავს უფლებას მივცემ და მაინც „რადიკალურს“ დავარქმევ. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, არ გამინაწყენდება, მაინც ბოდიშს ვუხდიძ.

„ეროვნული ფორუმის“ რადიკალური განწყობა ყველასთვის კარგადაა ცნობილი და მათი შესაძლებლობებიც საკმაოდ დიდია.

დიდი ინტელექტუალური ძალის გარდა, „ეროვნული ფორუმის“ ლიდერები ხალხის ნდობით, პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობენ.

ეს ორი ძირითადი პოლიტიკური ძალა და ცალკეული ლიდერები, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში უკან არ დაიხევენ, ოპოზიციის „რადიკალურ ფრთას“, ზომიერებთან შედარებით გაცილებით უფრო წონიანს ხდის.

ხელისუფლება შეეცდება გამოიყენოს ოპოზიციაში „გაჩენილი“ ეს ორი მიმართულება და პირველ რიგში შეასუსტოს რადიკალური ნაწილი.

ამისათვის პირველ რიგში ხელს შეუწყობს მოსახლეობასა და აქციის მონაწილეთა შორის დაპირისპირების გაზრდას. განსაკუთრებულ აქცენტს კი ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ გააკეთებს.

ტელევიზიების „კურიერებში“ სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან „საკნების უბნებთან“ ახლოს მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც პატარა ბავშვებით ხელში ისაუბრებენ იმ დისკომფორტზე, რასაც აქციები უქმნიან.

თავად ხელისუფლების წარმომადგენლები კი გამოთქვამენ ყველანაირ დათმობაზე წასვლის მზადყოფნას, რითაც შეეცდებიან „ქულების დაწერას“, როგორც მოსახლეობის, ასევე დასავლური ორგანიზაციების თვალში. არ არის გამორიცხული სხვადასხვა სახის მცირე პროვოკაციის მოწყობაც.

ამ ფონზე ნინო ბურჯანაძის, ლევან გაჩეჩილაძისა და „ეროვნული ფორუმის“ ერთიანობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება.

ბუნებრივია ხელისუფლება ხუთპუნქტიანი წინადადების გარდა, კიდევ წავა გარკვეულ დათმობებზე და შეიძლება შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზეც „დათანხმდეს“ (ეს „დათმობები“ „რადიკალების“ მკვეთრად გამოხატული პოზიციის დამსახურება უფრო იქნება, ვიდრე „ზომიერების“ დიპლომატიური გამოცდილებისა).

მოკლედ რომ ვთქვა, ჯერჯერობით „შესაკაზმი ცხენების“ ნაცვლად, მხოლოდ „ექვანშესაბმელი კატა“ ჩანს.

თუ მოხერხდა და ის კატა არც თუ ისე „ბნელ ოთახში დავიჭირეთ“, „ცხენებიც მაშინვე გამოჩნდებიან“.

**გია გაბრიჭიძე**

კანონი და ჩვენ

# პატიმრებს სახლებში გაუშვებენ?!

## როდის აჯობებს რიგითი ქართველი (არა ტუსაღი) შვიდ პატიმარს?

**საქართველოს ციხეებში საქმე მთლად კარგად რომ ვერ არის, ფაქტია. უამრავი საკითხია სწრაფად მოსაგვარებელი. ზოგ ციხეში პატიმართა წამების ფაქტებიც არის. ამ პრობლემებზე ისაუბრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, რომელმაც შეკრებილთ სამინისტროს საქმიანობა და სამომავლო სტრატეგია გააცნო.**

მისი თქმით, 2013 წლისთვის ყველა პრობლემა მოგვარდება, თითოეული სასჯელაღსრულების დაწესებულება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება, პატიმრებს ექნებათ სრულყოფილი ჯანდაცვის და მოქნილი განათლების სისტემები, დახვეწილი პრობაციის სამსახური, მაღალხარისხიანი და ხელმისაწვდომი უფასო იურიდიული დახმარება. თითოეულ ციხეში აშენდება თონე, სათბური და სამკერვალო პატიმართა დასაქმებისთვის, რომლებსაც ხელფასიც ექნებათ. აღიკვეთება წამების ფაქტები, ხოლო თუ ამგვარი ფაქტი გამოვლინდება, კანონის შესაბამისად დაისჯებიან ციხის უფროსი და თანამშრომლები.

— ჩვენ ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი პატიმრებს, რათა სრულფასოვან ადამიანებად იგრძნონ თავი. ამისთვის საპატრიარქოსთან გავაფორმეთ მემორანდუმი, რაც ითვალისწინებს პატიმრის მონასტერში გადაყვანას, სადაც მას მონასტერი უწესებს შეზღუდვებს, ანუ ჩვენ ვათავისუფლებთ მათ. ასევე თითოეულ ციხეს მღვდელი ეყოლება და პატიმრების სულიერ ცხოვრებაზე იზრუნებს, — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ციხეებში ფსიქოლოგებიც მუშაობენ, თუმცა რამდენიმე ციხეში ამ მხრივ კადრების პრობლემაც არის. მიზეზად კი ფსიქოლოგიურ შიშს ასახელებენ.



შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ ზოგ პატიმარს სახლშიც კი გაუშვებენ, თუმცა მხოლოდ ფეხზე მიმაგრებული სპეციალური მოწყობილობით, რომელიც, თუ პატიმარი განსაზღვრულ ტერიტორიას გადაკვეთავს, განგაშს ატეხს.

მინისტრმა უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გააფორმა, რაც ითვალისწინებს ერთობლივი ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებას. თუმცა, შაშკინის განცხადებით, რეფორმის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია საზოგადოების მხარდაჭერა და აქტიური მონაწილეობა.

**ანა კვარაცხელია**

**P. S. თურმე საქართველოში ყოველწლიურად თითოეულ პატიმარზე 2800 ევრო იხარჯება. ხოლო შვედეთში ყოველდღიურად — 300 ევრო...**

**ა. კ.**

**კომპეტენტური აზრი**

**„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა ექსპერტთა კლუბის წევრს ლადო პაპავას**



# თუ ხელისუფლებამ ოპოზიციას ვადამდელი პარლამენტის არჩევნების ჩატარება შესთავაზა, ამაზე ოპოზიციას საჯაროდ უარის თქმა ძალიან გაუჭირდება

**— ბატონო ლადო, როგორ შეაფასებთ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უშედეგოდ დასრულებულ მოლაპარაკებებს და მას შემდეგ განვითარებულ პროცესებს, ანუ ოპოზიციის ერთი ნაწილის მზაობას, გააგრძელოს ხელისუფლებასთან დიალოგი, ხოლო მეორე ბრძოლის სხვა ტაქტიკას დაადგეს, რომლის პირობებშიც ოპოზიცია ერთიანობას ინარჩუნებს?**

— პირველ შეხვედრას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს შეხვედრა არ იქნება უკანასკნელი. მივესალმები ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელმაც განაცხადა, რომ მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლებას ოპოზიციასთან რაღაც დათმობებზე წასვლა მოუწევს.

თუ ხელისუფლება ოპოზიციასთან დათმობაზე არ წავიდა, გაგრძელდება ის პროცესი, როდესაც პრეზიდენტს თავის კაბინეტში შესვლის პრობლემები ექნება, მთავრობას — ნორმალურად სხდომების ჩატარებისა, ხოლო პარლამენტი ვერ შეიკრიბება კანონების მისაღებად. ეს სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო კრიზისი, რაც ქვეყნისთვისაც ძალიან ცუდია და ხელისუფლებისთვისაც. ხელისუფლებას ასეთ რეჟიმში ქვეყნის მართვა გაუჭირდება.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლებასთან დიალოგის გაგრძელებასთან დაკავშირებით ოპოზიციის ნაწილის პოზიციას მივესალმები, ხოლო ხელისუფლებას გარკვეულ დათმობებზე წასვლა დასჭირდება. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების წინადადებები ტრანსფორმაციას აუცილებლად განიცდის. თუ გახსოვთ, ხელისუფლება ოპოზიციას ადრე უფრო ეფემერული საკითხების განხილვას სთავაზობდა. დღეისთვის უფრო კონკრეტული თემების განხილვაზეა საუბარი. ჩემი აზრით, თანდათანობით გაჩნდება კიდევ უფრო საინტერესო თემები, რომლებზეც თავად ოპოზიციამ უნდა იმსჯელოს.

**— ოპოზიცია ხელისუფლებას ვითარების არაადეკვატურად შეფასებაში ადანაშაულებს. თქვენი აზრით, კრიზისის დასაძლევად ხელისუფლებამ ოპოზიციას რამდენად ადეკვატური წინადადებები შესთავაზა? შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების წინადადებები საკმარისია ვითარების განსამუხტად?**

— ყველა ის წინადადება, რომელიც ხელისუფლებამ ოპოზიციას შესთავაზა არა თუ საკმარისი, არამედ ოპოზიციისთვის უაზრო შეთავაზება იყო. ამ პრობლემების მოგვარების აუცილებლობას არავინ უარყოფს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათ გადაწყვეტაში ხელისუფლებას ხელს არავინ უშლიდა.

რაც შეეხება იმ საკითხებს, რომლებიც ოპოზიციისთვის შეიძლება იყოს საინტერესო, გარდა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნისა, ისინი შეიძლება იყოს დაკავშირებული ისეთ თემასთან, პრეზიდენტს რომ ეთქვა გადავდგები, მაგალითად, ერთი თვის შემდეგ, ან ერთი წლის შემდეგ, რადგანაც მანამდე აუცილებელია სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტა. ასეთი წინადადება ასევე შეიძლება ყოფილიყო ოპოზიციისთვის ვადამდელი პარლამენტის არჩევნების ჩატარების შეთავაზება. ყველასთვის ცხადია, რომ ეს პარლამენტი არანაირად არ ასახავს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას და მნიშვნელოვანწილად არ გამოხატავს მოსახლეობის ინტერესს. ოპოზიციისთვის საინტერესო იქნებოდა, ხელისუფლებას მხარი დაეჭირა რეფერენდუმისთვის. ყოველ შემთხვევაში ეს ყველა ის თემებია, რომლებზეც მსჯელობა შეიძლება.

ვიდრე ასეთი წინადადებებით არ წარსდგება პრეზიდენტი ოპოზიციის წინაშე, ეს შეხვედრები მხოლოდ შეხვედრისთვის იქნება განწირული.

**— იმის გათვალისწინებით, რომ დიალოგზე წამოსული ოპოზიციის ერთი ნაწილის გაბიაბრუება ხელისუფლების ინტერესში არ შედის, თქვენი აზრით, თქვენს მიერ ჩამოთვლილი წინადადებებიდან კიდევ რა შეიძლება შესთავაზოს ხელისუფლებამ ოპოზიციას?**

— ყველაზე მთავარი არის ის, რომ პარლამენტი, მთავარი პოლიტიკური ორგანო, როგორც ვთქვი, არანაირად არ ასახავს ქვეყანაში არსებულ ძალთა თანაფარდობას, არ ასახავს მოსახლეობაში არსებულ განწყობას. ამიტომ ის შეცდომა, რომელიც ხელისუფლებამ დაუშვა პარლამენტის არჩევნების დროს, უნდა გამოასწოროს.

მართალია ოპოზიცია აცხადებს, რომ ის ვადამდელი პარლამენტის არჩევნების ჩატარების წინააღმდეგი იქნება, მაგრამ თუ ხელისუფლებამ ოპოზიციას ვადამდელი პარლამენტის არჩევნების ჩატარება შესთავაზა, ამაზე ოპოზიციას საჯაროდ უარის თქმა ძალიან გაუჭირდება და მოსახლეობისთვის ეს აშკარად გაუგებარი იქნება.

**— ანუ თქვენ მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარებას არ გამორიცხავთ?**

— არათუ გამოვრიცხავ, ეს არის კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი ვარიანტი, ვინაიდან ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს და პრეზიდენტმა რაღაც ბარტყი ხომ უნდა გადაუგდოს მელიას, ვინაიდან ის მელია იმუქრება, რომ ცულს მოიტანს ცუნცულასა და იმ ხეს მოჭრის, რომელზეც პრეზიდენტი ზის.

**— ოპოზიციის ცალკეულმა ლიდერებმა უკვე გააკეთეს განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი იმ შემთხვევაში დათანხმდებიან ვადამდელ პარლამენტის არჩევნებს, თუ პრეზიდენტი გაუშვებს შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს, ადეიშვილს, კოდუას, ახალაიას და ა. შ.**

— ყველა ეს თემა არის თემები მსჯელობისთვის. ჯერ პრინციპულად უნდა დადგეს საკითხები მსჯელობისთვის და მერე იქნება მათი განხილვა. მე მაინც რეფერენდუმის იდეის მომხრე ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში მარტო რეფერენდუმის საკითხი კი არ დადგება. საკითხები ერთ პაკეტად უნდა იქნეს განხილული. ამ პაკეტში რა უნდა შევიდეს, ეს დისკუსიის საგანია. ხელისუფლებას დათმობაზე პრინციპული გადაწყვეტილების მიღება დასჭირდება.

**— ხელისუფლება-ოპოზიციის დიალოგს და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სავარაუდო გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც მხარეებმა უნდა მიიღონ, რამდენი დრო დასჭირდება?**

— ყველაზე კარგი იქნება, თუ ეს ყველაფერი ერთ თვეზე მეტს არ გასტანს. უკეთესია ამ პროცესს თვეზე ნაკლები დასჭირდეს. რაც მეტი დრო გადის, არსებული ვითარება მით უფრო საზიანოა ჩვენი ქვეყნისთვის.

**კობა ბენდელიანი**

**ხედვა**



*ლონდონში მოღვაწე ქართველი პოლიტოლოგი გიორგი ონიანი საქართველოში პროცესების მიმდინარეობას დინამიკურად აფასებს და თვლის, რომ „კომპრომისების გარეშე სიტუაცია შესაძლოა, ჩიხში შევიდეს“. აღნიშნული პროცესების ნორმალიზაციაში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობას პოლიტოლოგი მის მთავარ ინტერესს — საქართველოში და ზოგადად კავკასიის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას უკავშირებს, თუმცა ფიქრობს, რომ ქართული მხარის მიერ ამ საკითხით დაინტერესება, პირველ ყოვლისა, ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის შედარებით ნაკლებად განვითარებულობაზე მიუთითებს. ამასთან, ონიანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ რუსეთი საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ ილვწის, ამიტომ ყველა ის ძალა, რომელიც რუსეთის ამ ინტერესთა შემხვედრ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთთან ურთიერთობების დათბობას შეძლებს, თუმცა აქვე დასძენს, რომ საკმაოდ ხშირად ეს შეუძლებელია, რადგან რუსეთის ინტერესები საქართველოს სახელმწიფოს ე.წ. სასიცოცხლო ინტერესებზე გადის და აქ, როგორც წესი, კომპრომისი შეუძლებელია.*

# გიორგი ონიანი: უკომპრომისებოდ სიტუაცია შესაძლოა, ჩიხში შევიდეს

**— ბატონო გიორგი, რა შეფასება მისცემდით საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?**

— პროცესები საკმაოდ დინამიკურად მიმდინარეობს, მთავარი აქტორები - ხელისუფლება და რადიკალურად წოდებული არასაპარლამენტო ოპოზიცია პრინციპულ პოზიციას იჩენენ და ცდილობენ დათმობაზე არ წავიდნენ, რადგან ორივე მხარე კომპრომისს სისუსტის გამოვლინებასთან აიგივებს. ეს ჩიხისკენ მიმავალი გზაა.

**— რამდენად მართებულად და პერსპექტიულად მიგაჩნიათ არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომის შესახებ?**

— ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას აქვს უფლება და მე ვიტყოდი, მოვალეობაც კი, დასვას საკითხი, თუ ეს მისი მხარდამჭერებისათვის აქტუალური, მისი ნების შესაბამისი და ადეკვატურია, თუმცა აუცილებელია, პრობლემები კანონიერი გზით გადაწყდეს.

**— რამდენად მისაღებია არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ არჩეული ბრძოლის მეთოდები? რას იტყვით იმიტირებულ საკნებზე და ცენტრალური მაგისტრალების პიკეტირების გეგმაზე?**

— ეს ბრძოლის კონკრეტული ხერხია, რომელიც ასევე პოლიტიკური ძალებისა და მათი მხარდამჭერების ურთიერთშეთანხმების შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს. ამ შემთხვევაში, მთავარია, კანონის მოთხოვნები არ დაირღვეს.

**— გთხოვთ, შეგვიფასოთ ხელისუფლების პოზიციაც, რომლის თანახმადაც, ის მზადაა პოლიტიკურ ოპონენტებთან ქვეყნისათვის საჭირბოროტო ყველა საკითხზე გააგრძელოს მოლაპარაკებები, პრეზიდენტის გადადგომის გარდა.**

— ეს არის დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთის პოზიცია, რომელიც არსებული რეალობის მისეულ აღქმას და მხარეთა შორის ძალთა ბალანსს შეესაბამება. ისევე, როგორც ოპოზიციას აქვს უფლება, მოითხოვოს პრეზიდენტის გადადგომა, ხელისუფლებასაც შეუძლია ამა თუ იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით ე. წ. „წითელი ხაზები“ გაავლოს. ეს ასევე შესაძლოა, აღიქმებოდეს, როგორც ტაქტიკური ნაბიჯი სამომავლო მოლაპარაკებისას პოზიციების გამყარების მიმართულებით.

**— როგორია, თქვენი აზრით, მოვლენების განვითარების პროგნოზი?**

— პროგნოზი საკმაოდ რთულია, რადგან მოვლენათა განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მთავარი ფაქტორია მოსახლეობის მხარდაჭერა, რომელიც ორივე მხარის მოქმედებათა ლეგიტიმაციის მთავარი წყაროა. ამიტომაც არის, რომ როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია მათი მოთხოვნების გარშემო ხალხის მხარდაჭერის კონცენტრირებას ცდილობენ. იმ მხარეს, რომელიც ამას უკეთესად შეძლებს, ოპონენტთან მიმართებაში უფრო ძლიერი პოზიციები ექნება.

**— როგორ ფიქრობთ, არის დღევანდელ არასაპარლამენტო ოპოზიციურ სპექტრში ძალა, რომელსაც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა, შემდგომ კი მშვიდობის შენარჩუნება და დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა შეუძლია?**

— ეს ჩემი შესაფასებელი არ არის. თეორიულად, ეს შეუძლია ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ხალხი ამის მანდატს მიანიჭებს. რატომღაც, ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომ პოლიტოლოგებს პოლიტიკურად ანგაჟირებულ შეკითხვებს უსვამენ და მათგანაც ასეთსავე პასუხებს ელიან. ჩემი აზრით, ეს არასწორია. პოლიტოლოგი სწორედ იმით უნდა განსხვავდებოდეს პოლიტიკოსისგან, რომ მისი შეფასება მიუკერძოებელი უნდა იყოს და პროფესიონალური ფასეულობებისა და ეთიკის ჩარჩოებში მოექცეს.

**— როგორია სიტუაციის განმუხტვის თქვენეული ხედვა? რა უნდა გააკეთონ ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოსაყვანად დაპირისპირებულმა პოლიტიკურმა მხარეებმა?**

— დაპირისპირებულ მხარეებს შორის სიტუაციის განმუხტვა მშვიდობიანი გზით, მხოლოდ მოლაპარაკებებით შეიძლება, - მოლაპარაკებებით, რომელზეც მხარეთა პოზიციები ქვეყანაში არსებული სიტუაციისა და ხალხის განწყობის ადეკვატურ შეფასებას დაეფუძნება. ის, რომ მოლაპარაკების, თუნდაც პირველი შეხვედრის პრეცედენტი უკვე გვაქვს, სწორედ ამაზე მეტყველებს.

იხ. 4 გვ.

◉ განსჯა

(მესამე გვერდიდან)

# გიორგი ონიანი: უკომპრომისებოდ სიტუაცია შესაძლოა, ჩიხში შევიდეს

ეს ასევე ნიშნავს, რომ მხარეები ერთმანეთს თანაწონად ოპონენტებად მიიჩნევენ. ეს ერთგვარად ასახავს იმას, რომ ხელისუფლებას გააზრებული აქვს: ოპოზიციის უკანხალხის ანგარიშგასაწევი რაოდენობის მოთხოვნები დგას. ასევე ცხადია, რომ ორივე მხარე ხედავს მოვლენათა არაკანონიერი გზით განვითარების გარკვეულ რისკს, რომლის პოლიტიკური ტრადიციაც საქართველოში არსებობს, ამიტომ მოლაპარაკების გზით საკითხების გადაწყვეტა განსაკუთრებულ როლს იძენს. მეორე მომენტია, რომ ორივე მხარე მზად უნდა იყოს კომპრომისისთვის. მხოლოდ ამგვარი მოლაპარაკებითაა შესაძლებელი რეალური პროგრესის მიღწევა.

**— რას ფიქრობენ საზღვარგარეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე?**

— მე მხოლოდ ბრიტანეთის მაგალითზე შემიძლია ვიმსჯელო, თუმცა ვფიქრობ, რომ აქაური სიტუაცია საკმაოდ რეპრეზენტაბელურია დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებული შეხედულებებისა. საზოგადოების დონეზე, საქართველოში მიმდინარე მოვლენები ნაკლებად პრიორიტეტულია და ეს მხოლოდ ჩვენი რეგიონით დაკავებული სპეციალისტების ყურადღების საგანია. თუმცა ეს საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც შეეხება შეფასებას, ის ტიპურია დასავლური ლიბერალური ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზე მყოფი საზოგადოების წარმომადგენელი პოლიტოლოგებისთვის. მათთვის უმთავრესია, რომ კანონი იყოს დაცული და ადამიანის უფლებები არ დაირღვეს. ამიტომაა, რომ ისინი უპირატესობას დიალოგს ანიჭებენ.

**— თქვენი აზრით, რა როლის შესრულება შეუძლია საერთაშორისო თანამეგობრობას ამ პროცესებში და საერთოდ, ხედავთ თუ არა მის გარკვეულ ვალდებულებას საქართველოში დაძაბულობის განმუხტვის საქმეში იმის გათვალისწინებით, რომ უცხოელმა დამკვირვებლებმა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიულად და კანონიერად სცნეს, მაშინ, როცა ოპოზიცია „მასობრივ ფალსიფიკაციაზე“ საუბრობდა?**



— ის, რომ არსებობს სურვილი და მოლოდინი, რომ შიდაპოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად მხარეებს შორის არბიტრად, ან თუნდაც შუამავლად მესამე – უცხო ძალა მოგვევლინოს, პირველ ყოვლისა, ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის განუვითარებლობაზე მიუთითებს. თუმცა როგორც ბოლო მოვლენებიდან ჩანს, საქართველოს პარტნიორები, პირველ ყოვლისა, ევროპის კავშირი და შეერთებული შტატები, მზად არიან, ეს როლი იტვირთონ. მათი მთავარი დაინტერესება ქვეყანაში და რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებაა და სწორედ ამით არის გამოწვეული მიმდინარე პროცესებში მათი ჩართულობა.

**— რაც შეეხება რუსეთს, ის ყოველდღიურად ამკაცრებს პოლიტიკას კავკასიასთან მიმართებაში. როგორ უნდა მოიქცე მოსკოვთან? როგორი პოლიტიკა უნდა გაატარო, რომ მოსკოვმა სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას პატივი სცეს?**

— ეს დიდი თემაა და შევეცდები მოკლედ შემოვიფარგლო. რუსეთი საკმაოდ რთული და სპეციფიკური პარტნიორია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ უმეტესი მსოფლიოსათვის. ეს ბევრი ფაქტორითაა გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მისი წარსული ძლიერების ფანტომი, რომელიც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკაზე. რუსეთის ისტებლიშმენტის უმრავლესობა ე.წ. დერჟავნიკული იდეითაა შეპყრობილი და დიდი რუსეთის აღორძინებაზე ოცნებობს. ასეთი ადამიანების პოზიცია ხელისუფლებაში პუტინის ყოფნის პერიოდში საკმაოდ გამყარდა. ამ ყველაფერს დაერთო ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება ნავთობის ფასების გამო, რამაც რუსეთის მოქმედ ხელისუფლებას დერჟავნიკული განცხადებებიდან მოქმედებებზე გადასვლის შესაძლებლობაც მისცა. ბოლო პერიოდში რუსეთის მიერ კუნთების თამაშის უდავო პიკი საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია იყო.

რაც შეეხება ტაქტიკას, ეს, ვფიქრობ, საკმაოდ კარგად არის გასააზრებელი. გარდა იმისა, რომ რუსეთი საკმაოდ გამოცდილი და ძლიერი მომლაპარაკებელია, ამ პარტნიორთან შედეგზე ორიენტირებული საუბარი მხოლოდ ძლიერი პოზიციებიდან შეიძლება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი მტკიცე საერთაშორისო მხარდაჭერა – ისეთი, როგორიც საერთაშორისო თანამეგობრობამ 2008 წლის აგვისტოში გამოიჩინა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა მოიქცე და რა პოლიტიკა აწარმოო – ამაზე უნიფიცირებული პასუხი არ არსებობს. შეუძლებელია, დაასახელო კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯები, რომელიც ყველა შემთხვევაში თანაბრად მისადაგებული იქნება. ჩემი აზრით, უმთავრესია, იყოს ძალთა ბალანსის, მხარეთა ინტერესების და ოპონენტის სტერეოტიპული აზროვნების გააზრება და ყოველი კონკრეტული ნაბიჯი ყოველ კონკრეტულ მომენტში სწორედ ამ ანალიზის შედეგად იქნეს მიღებული.

**— თქვენი აზრით, აქვს თუ არა რომელიმე ქართულ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას იმის პოტენციალი, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მოსკოვთან ურთიერთობების დათბობა შეძლოს?**

— რუსეთთან მოლაპარაკების პოტენციალი რომელიმე პოლიტიკური ძალის დამახასიათებელი ნიშან-თვისება არ გახლავთ. რუსეთი თავისი ინტერესების დაკმაყოფილებისთვის იღვწის. ყველა ის ძალა, რომელიც რუსეთის ამ ინტერესთა შემხვედრ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთთან ურთიერთობების დათბობას შეძლებს. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საკმაოდ ხშირად ეს შეუძლებელია, რადგან რუსეთის ინტერესები საქართველოს სახელმწიფოს ე.წ. სასიცოცხლო ინტერესებზე გადის და აქ, როგორც წესი, კომპრომისი შეუძლებელია.

**ლევან სულაშვილი**

◉ პარტიებსა და მოძრაობებში

***პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“ ბოლო დღეებში საპროტესტო აქციებზე ნაკლებად ჩანს. „თავისუფლების“ ლიდერები ოპოზიციისა და ხელისუფლების დიალოგის წინააღმდეგები იყვნენ და ოპოზიციის სხვა ლიდერებიც გააფრთხილეს, რომ „სააკაშვილთან დიალოგს აზრი არ აქვს“. „თავისუფლებას“ კრიზისიდან გამოსვლის საკუთარი გეგმა აქვს და მიიჩნევს, რომ ეს გეგმა სხვა ოპოზიციონერებმაც უნდა გაითვალისწინონ და თუ დიალოგზე კიდევ დაიწყება საუბარი, „თავისუფლების“ ლიდერები სააკაშვილთან მოლაპარაკებაზე წამსვლელების მიმართ რადიკალურად განეწყობიან.***

***ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ წარმომადგენელს სანდრო ბრეგაძეს ესაუბრა.***

# სანდრო ბრეგაძე: პრეზიდენტთან შეხვედრის მომხრეების მიმართ რადიკალური პოზიცია გვექნება

**— ბატონო სანდრო, როგორ შეაფასებთ პრეზიდენტისა და ოპოზიციის შეხვედრას?**

— პრეზიდენტი და მისი გარემოცვა დაახლოებით 2-3 კვირის განმავლობაში ეხვეწებოდა კონსტანტინე გამსახურდიას, რომ ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერი პირობებით შევხვედროდით მათ. თუმცა უარი ვთქვით იმის გამოც, რომ არ გვსურდა ოპოზიციის გენერალური ხაზის დარღვევა, რომელიც გულისხმობდა, რომ დიალოგი არ უნდა დაწყებულიყო. გაგახსენებთ სალომე ზურაბიშვილის გამოსვლას, რომ „ეშმაკი გვკარნახობს დიალოგს“. არ გვსურდა, პირველ რიგში, ოპოზიციის ერთობის დარღვევა და მეორე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აზრს ვერ ვხედავდით ე.წ. პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრაში. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის გარკვეულმა ნაწილმა გამოთქვა სააკაშვილთან შეხვედრის მზაობა. ჩვენ მათ ამაში, რა თქმა უნდა, ხელი არ შევუშალეთ, მაგრამ ჩვენი კოლეგები და მეგობრები, გავაფრთხილეთ, რომ ამ შეხვედრას შედეგი არ ექნებოდა. ყველამ დაინახა, რომ ამ შეხვედრას შედეგი არ მოჰყვა.

**— თუმცა, შესაძლოა, შეხვედრა კიდევ შედგეს...**

— დღეის მერე თუკი ვინმე კიდევ დაიწყებს შეხვედრაზე და დიალოგზე ლაპარაკს, უკვე მისადმი ჩვენ რადიკალურ პოზიციას ჩამოვაყალიბებთ და აღვიქვამთ ისე, რომ ეს ადამიანი არაადეკვატურია იმ პროცესებისა, რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში.

**— მაგისტრალების ბლოკირებასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია?**

— ჩვენ გაწერილ გეგმას არ ვიცნობთ იმიტომ, რომ ასეთი გეგმა არ არსებობს. ჩვენი პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა მალხაზ გორგასლიძემ „მემარჯვენეების“ ოფისში წარადგინა კოალიცია „თავისუფლების“ მიერ გაწერილი გეგმა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარიმართოს საპროტესტო აქციები, რომელიც აუცილებლად დამთავრდება არსებული რეჟიმის შეცვლით. ეს გეგმა ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებს გრაფიკულად მიეწოდა და იმედია, მას შემოუერთდებიან ჩვენი პოლიტიკური პარტნიორები. გეგმა გულისხმობს, რომ პირველ რიგში, უნდა შეიქმნას ეროვნული ხსნის კომიტეტი, ანალოგიური იმისა, რომელიც შექმნეს 1989 წლის აქციების დროს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. გეგმის მიხედვით, საქართველოს ყველა დიდ ქალაქში და რაიონულ ცენტრში უნდა დაიწყოს საპროტესტო აქციები და უნდა მოხდეს ადგილობრივი მერიისა თუ გამგეობის შენობების ბლოკირება ერთადერთი მოთხოვნით, რომ დაუყოვნებლივ დაინიშნოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ არჩევნების დანიშვნა უნდა იყოს მთავარი მოთხოვნა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენი გეგმის მიხედვით, სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა დღის წესრიგიდან მოიხსნა?**

— სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა არ ამოგვიღია დღის წესრიგიდან, პირიქით, უფრო მეტად გავამწვავეთ ეს მოთხოვნა. მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ დაინიშნოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, თავის თავში გულისხმობს იმას, რომ მიხეილ სააკაშვილი უნდა გადადგეს.

**— თქვენი გეგმის მიხედვით, არჩევნები სააკაშვილის მმართველობის პერიოდში უნდა დაინიშნოს, თუ მისი გადადგომის შემდგომ?**

— რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტი იქნება, რომ ე.წ. პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც მე ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეს ვუწოდებ და არა პრეზიდენტს, უნდა გადადგეს და არჩევნები უნდა დანიშნოს ან ეროვნული თანხმობის კოალიციამ ან ე.წ. პარლამენტმა, რომელიც დღეს არსებობს.

**— გზების პიკეტირება, რომელიც ოპოზიციის ინიციატივით იგეგმება, თქვენვის მისაღებია?**

— ამ იდეას ჩვენ სიმპათიით ვუყურებთ, ალბათ, იქნება ტექნიკური დეტალები შესათანხმებელი ჩვენს მეგობარ „ეროვნულ ფორუმთან“. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერთ ამას. არ ვართ ის ადამიანები, განსხვავებით სხვებისგან, რომლებიც სხვის იდეას მხარს არ უჭერენ იმის გამო, რომ ეს სხვისი იდეაა. ჩვენ ჩვენი პოლიტიკური პარტნიორების ჭკვიანურ იდეას მხარს დავუჭერთ და მონაწილეობას მივიღებთ. ბევრი ადამიანი დღეს იმაზე ფიქრობს, რომ სააკაშვილი წავიდეს ხელისუფლებიდან და მერე თვითონ მოვიდეს. ჩვენ ასე არ ვუდგებით საკითხს, ჩვენი მიზანია სააკაშვილი წავიდეს და შემდგომში ქართველმა ერმა გადაწყვიტოს, თუ ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში.

**— „სხვებში“ ვის გულისხმობთ?**

— გამგები გაიგებს, „სხვებში“ ვინც იგულისხმება. ის ადამიანები, ვინც ჩვენს გეგმას არ დაეთანხმებიან და ამ რეალისტურ გეგმას მხარს არ დაუჭერენ, „სხვებში“ სწორედ ისინი იგულისხმებიან. ჯერჯერობით, სანამ ამ გეგმასთან დაკავშირებით პოზიციები არ არის ჩამოყალიბებული, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით.

**— საპროტესტო აქციებში მონაწილეობას გააგრძელებთ?**

— ჩვენ 4 დღის განმავლობაში იმიტომ არ ვჩანდით საპროტესტო აქციებზე, რომ მიმდინარეობდა ე.წ. დიალოგთან დაკავშირებით საუბრები. ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით ამ დიალოგს და მოლაპარაკებას, ამიტომ არ ვჩნდებოდით. ჩვენი პოზიცია აღსრულდა. არ გვსურდა ხელი შეგვეშალა ჩვენი კოლეგებისთვის, რომ კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყვნენ, თუ რაოდენ დიდი უაზრობაა სააკაშვილთან ჭიქა ყავაზე საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადადგეს ის. ბატონი ალასანია კიდევ აცხადებს დიალოგთან დაკავშირებით რაღაცებს, მთელი ოპოზიციური სპექტრი ერთსულოვანია იმაში, რომ ამ ე.წ. დიალოგს არანაირი აზრი არ აქვს და, რა თქმა უნდა, აქციებში ჩვენ ამ შემთხვევაში აქტიურად ჩავერთვებით, როგორც 9 აპრილის აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ჩვენ ვიქნებით ყოველთვის იქ, სადაც არის ჩვენი ხალხი.

პოზიცია

# ჟურნალისტიკა და ტრადიციული ქართული ბუქნი

**ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით დაწყებული აქციები გრძელდება. ხელისუფლების შემდეგ ოპოზიციის კრიტიკის ობიექტი უკვე ჟურნალისტები გახდნენ. ოპოზიციის მხრიდან წამოსულმა აგრესიამ უკვე მომიტინგეებში გადაინაცვლა. აქციების მსვლელობისას ჟურნალისტებზე თავდასხმის არა ერთი ფაქტი დაფიქსირდა. პროტესტის გამოხატვის ფორმებმა ბოლო დროს საკმაოდ უხეში ხასიათი მიიღო. ჟურნალისტების „არაობიექტურობით“ აღშფოთებული განსაკუთრებით გოგა ხაინდრავაა. სამწუხაროდ ხაინდრავამ, რომლისთვისაც ჟურნალისტიკა სულაც არ არის უცხო, ბრძოლის საკმაოდ უხეში ფორმები არჩია.**

იმედია, ბატონი გოგა ამ მომენტისათვის ძლიერი აფექტის მდგომარეობაშია და ბოლომდე ვერ აცნობიერებს დანაშაულის სიმძიმეს. სავარაუდოდ გოგა ხაინდრავას ეს შეცდომა ძლიერი აღელვების და გარკვეულწილად უცოდინრობითაც მოსდის. ხაინდრავას სასარგებლოდ ისიც უნდა ითქვას, რომ სავალდებულო არაა იურისპრუდენციაში ყველა ერთნაირად ერკვეოდეს, თუმცა ადამიანს, რომლის ამბიციებიც ყოველდღიურად პიკს აღწევს, იმის შეხსენება არ უნდა დასჭირდეს, რომ ის და აქციის თითოეული მონაწილე, მისი თითოეული თანამოაზრე, ვინც ჟურნალისტების მიმართ უცენზურო სიტყვებიდან მათ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადიან. ბატონ გოგას შევახსენებთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არის ასეთი მუხლი, „ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა“, რომლის სასჯელის კვალიფიკაცია მისთვის და მისი თანამოაზრეებისათვის არც თუ მომხიბვლელად უნდა გამოიყურებოდეს. უფრო კონკრეტულად კი, ამ ქმედებისათვის პირი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ასორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება ჯარიმით ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.





მოკლედ, როგორც ჟურნალისტი, თავს უფლებას მივცემ და ბატონ ხაინდრავას ვეტყვი, რომ როგორც პოლიტიკოსს, უჯობს, პოზიცია შეცვალოს. ჟურნალისტებთან ომს მეგობრობა სჯობს, ვინაიდან პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით ჟურნალისტების მეხსიერების მასშტაბები საკმაოდ დიდია, ჟურნალისტიკა კი შეცდომებს არავის პატიობს.

ის, რომ ჟურნალისტებზე ზეწოლამ რეგულარული სახე მიიღო, ეს ოპოზიციის წარმომადგენლებს სრულიად ბუნებრივად მიაჩნიათ. მეტიც, კახა კუკავამ საერთოდ ვერ გაიხსენა ჟურნალისტებზე თავდასხმისა და შეურაცხყოფის თუნდაც ერთი ფაქტი და განაცხადა, რომ ამ თემის აჟიტირება არ არის საჭირო, ვინაიდან, მისი ღრმა რწმენით, არათუ თბილისში, საქართველოშიც კი ვერ მოვიძიებთ ჟურნალისტის შეურაცხყოფის ფაქტს.

კონსერვატორ ლაშა ჩხარტიშვილის განცხადებით, ოპოზიციის პროტესტი მშვიდობიანია და ასეთი რამ მიუღებელია. თუმცა რაც შეეხება ცალკეულ ფაქტებს, მისი აზრით, ასეთი ქმედებით მხოლოდ ის ადამიანები არიან დაკავებული, რომლებიც ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ და პროვოკაციებით ცდილობენ ჟურნალისტებსა და ოპოზიციას შორის გარკვეული უკმაყოფილების გაღვივებას. ეს ქმედება კი მიზნად აქციების დისკრედიტაციას ისახავს. თუმცა კუკავას მსგავსად ვერც ჩხარტიშვილი იხსენებს ისეთ ფაქტს, როდესაც ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელს რაიმე ფორმით შეურაცხყოფა მიეყენებინოს ჟურნალისტებისათვის.

განსხვავებული პოზიცია აქვს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს მურთაზ ზოდელავას.

„ეს ფაქტი დასაგმობია ორივე მხრიდან, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ პლატფორმაზე დგას კრიტიკოსი, ვინაიდან ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დემოკრატიული სისტემის ერთერთი შემადგენელი ნაწილი არის მედია და თუ მედია-საშუალებების მიმართ განხორციელდა ამგვარი ფაქტები, ეს არ არის ზეწოლა, აქ უკვე კანონმდებლობის დარღვევასთან გვაქვს საქმე. ჩემი აზრით, ეს არის წვრილმანი, მაგრამ მაინც კრიმინალი. ამიტომ, ჩემი პოზიცია გამოკვეთილია და მიმაჩნია, რომ ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდანაც ამგვარი პოზიცია უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული. კარგი იქნება, თუ ჟურნალისტებიც ერთმანეთთან მიმართებაში გამოიჩენენ კოლეგიურობას და იქნებიან უფრო შეკრულები, მათი უფლებების შელახვისას იქნებიან უფრო მოტივირებულნი და მობილიზებულნი“.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით დარჩიაშვილი ჟურნალისტებზე ზეწოლას ნეგატიურად აფასებს. მისი განცხადებით ეს არის სიტყვის თავისუფლების შელახვა. მისივე თქმით, ამ შემთხვევაში უნდა იაქტიურონ ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა, ეს ინსტიტუტები კი ტრადიციულად სახელმწიფოზე არიან მიყურადებულები და გვერდზე რჩება არანაკლებ სახიფათო ტენდენციები.

„ეს იყო საკმაოდ სერიოზული გამოვლინება, რაც ამ დღეებში ვიხილეთ. ყველაფრის ყურადღების გადატანა პოლიციისა და მომიტინგეების შეჯახებაზე და მივიწყება იმისა, თუ რა უქნეს ჟურნალისტს, ეს არის ძალიან დიდი უსამართლობა“, — აცხადებს დარჩიაშვილი.

ადამიანის უფლებათა დამცველი გიორგი ლაღიძე ამბობს, რომ რომელი მხრიდანაც არ უნდა იყოს ჟურნალისტებზე ზეწოლა, ხელისუფლება იქნება ეს თუ ოპოზიცია, მსგავსი ქმედება დასაგმობია. ქვეყანაში, რომელსაც პრეტენზია აქვს დემოკრატიაზე, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს დიდად არ აღაშფოთებს ის ფაქტი, რომ ჟურნალისტებს თავიანთი პროფესიული საქმიანობის შესრულება ხელკეტების და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფონზე უწევთ. საყვარელიძე თვლის, რომ როდესაც ჟურნალისტი აგრესიას აგრესიითვე უპასუხებს, იმ წუთიდან ის ჟურნალისტი აღარ არის.

„თქვენ თვითონ გაქვთ უკმაყოფილება, როდესაც ვიღაც არ მოქმედებს ისე, როგორც მიიჩნევთ საჭიროდ. ანალოგიურად, თუ თვლიან, რომ არ მოქმედებთ სწორად, მაშინ არის თქვენდამი უკმაყოფილება, რა მოხდა მერე. ჟურნალისტები ცოტა ფრთხილად იყავით, რომ არ აღმოჩნდეთ პოლიტიკის მოსამსახურედ, არ არის ყოველთვის ისე, რომ ჟურნალისტი იყოს უცოდველი და დანარჩენი ყველა სცოდავდეს. თქვენ ნებსით თუ უნებლიეთ პოლიტიკას ემსახურებით. როდესაც ჟურნალისტის უფლებები და მისი დამოუკიდებლობა ილახებოდა, მაშინ ჟურნალისტურ კორპუსს ხმა არ ამოუღია. ახლა, როდესაც ხელისუფლების ინტერესებშია რომ ხმაური ატყდეს, ჟურნალისტებს ჩაგრავენო, იცავთ ჟურნალისტებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ თქვენ ემსახურებით ხელისუფლებას, ამიტომ არ მიმაჩნია ეს წმინდა წყლის ეთიკურ საკითხად, რომ თქვენ იცავთ ჟურნალისტის ინტერესებს. თქვენ არ იცავთ ჟურნალისტის ინტერესებს, თქვენ პოლიტიკის ინტერესებს იცავთ“, — ამბობს საყვარელიძე.

**შორენა მახარაშვილი**

caucasia-experts

---

წკეპლიკა

# როგორ ახტა-დახტა... ჭიანჭველა

**არა და არ გამოუდის ჩვენს დასავლურად განათლებულ-დიპლომირებულ პრეზიდენტს ლიტერატურულ-მხატვრული ციტირებანი თუ წიაღსვლანი და ჰე, ახლა... რასაა და ვისაა, რომ არ წაეპოტინოს და არ აურიოს.**

აგერ „გუშლამაც“, ტყიბულში რომ გახსნა გამამდიდრებელი ქარხანა (ნეტავ ვისი გამამდიდრებელი იქნება?ძ, ბრძანა: რწყილი და ჭიანჭველასავით ავხტით, დავხტით, რწყილი და ჭიანჭველასავით იქ მივედით, მერე იქიდან იქ მივედით, მერე კიდევ იქო...

მრცხვენია, ამას რომ გახსენებთ, მაგრამ ჭიანჭველას, საწყალს, სად ჰქონდა სიარულის, მით უფრო, ხტუნვის თავი, წყალში ჩავარდნილს, ბალახს ჩაბღაუჭებულს და ძმობილი დასტურ მოხტუნავე რწყილისგან შველის მომლოდინეს...

მაინც, რამ შეაყვარა მაგ პიარდალოცვილს ეს გახსნები? კარგი და ვაითუ ერთ არც მშვენიერ დღეს „მეზობელ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან“, სამხრეთ ოსეთთანა და აფხაზეთთან, მოიწადინა ამ ხტუნვახტუნვაში, საზღვრების გახსნა და ლენტის გადაჭრა — რას შობი მაშინ (ჩემს ენას მღოგვიძ?

პრეზიდენტის ხსენებაზე — ერთ გაზეთში საყვედური აკადრეს — რა ამბავია, ბოშო, გაჭეძილი დაცვით გადაადგილება: ავტომატებიანები წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, მოკლედ, „კრუგომო“? ჰამაც, სადმე რომ მივა, სახურავებზე სნაიპერების ჩასაფრებაო...



ფრთხილად, რაჟა, ბიძიკო და წადი ახლა შენ გზაზე (ჟურნალისტს ვეუბნებიძ, თორემ ერთიც ვნახოთ და „ბოინგით“ ფრენისას ესკორტად ავიაგამანადგურებლები იახლა, მაშინ? რა, იმათ შეძენას ჭკუა დაუშლის, თანამდებობა, ფინანსთა მინისტრი თუ მოკეტილი პარლამენტი?..

**ლუკა გორგაძე**

---

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაინვალიდებული პირი. არ მინდოდა პენსიონერის სახელი, მაგრამ ახლა ძალიან გამიჭირდა, დავიდგინე ჯგუფი. მინდა დავინიშნო პენსია. მედავებიან, ამდენ ხანს სად იყავიო და მთხოვენ სხვადასხვა საბუთებს.**

**გთხოვთ განმიმარტოთ, რა საბუთების წარდგენაა აუცილებელი ჩემი კატეგორიის პირებისთვის პენსიის დასანიშნად?**

**მირონ ძილიფთარი.**

**პასუხი:** იმ პირებს, რომელთაც შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დადგენილი აქვთ „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების დაცვით, ინვალიდობის პენსიის დასანიშნად უნდა წარადგინონ — პირადობის მოწმობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამოწმებული „9 აპრილის“ მონაწილის საბუთი.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**ოპოზიცია**

***როგორც კი „ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ რამდენიმე ფრთხილი და დიპლომატიური განცხადება გააკეთა, მაშინვე ხელისუფლებასთან მის ალიანსზე ალაპარაკდა მავანი, თუმცა მისი თანამებრძოლები ამგვარ შეფასებებზე კომენტარს არც აკეთებენ, ეს აბსურდიაო, — ასეთია მოკლე პასუხი.***

***ჩვენ ვესაუბრეთ რესპუბლიკელ დავით ბერძენიშვილს, რომელიც ოპოზიციის განხეთქილებას ნამდვილად არ წინასწარმეტყველებს, პირიქით. ის პროცესების რადიკალიზაციას ემხრობა, თუმცა არც მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას გამორიცხავს.***

# დავით ბერძენიშვილი: ალიანსს დიდი უპირატესობა აქვს ქუჩაში

## ამ უპირატესობის რეალიზებას ვაპირებთ მოლაპარაკების მაგიდასთანაც



**— ბატონო დავით, საინტერესოა, როგორი სამოქმედო გეგმა აქვს ალიანსს, ხომ არ აპირებთ გადახედვას და ცვლილებების შეტანას თქვენს სტრატეგიაში?**

— ჯერჯერობით გეგმა გაწერილია 26 მაისამდე. თბილისის პარალელურად მიტინგები გაიმართება საქართველოს რამდენიმე რეგიონულ ცენტრში. ხელისუფლებამ დააპირა შანტაჟის გზით სიარული, რადგან ორი დღის განმავლობაში პერმანენტულად ლაპარაკობდნენ ალღუმის საჭიროებაზე. შემდეგ როცა გაიაზრა, რომ არ ვაპირებდით ამ ბლეფს წამოვგებოდით, უკან წაიღო მუქარა.

ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ ქვეყანაში კრიზისია. უცნაურია, ამას რომ არ აღიარებს, რადგან როგორც ქვეყნის გარეთ, ისე შიგნით, საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, ღრმა კრიზისია. თუკი ეს მოხდება, მაშინ, ბუნებრივია, მოლაპარაკების გაგრძელებას აზრი ექნება. მაგრამ ხელისუფლებას არ უნდა თქვას, რომ კრიზისია. თუკი ამას იტყვის, მაშინ კრიზისს დაძლევა დასჭირდება, დაძლევას კი — ძირეული ცვლილებები, ხოლო ძირეული ცვლილებები ეს არის არჩევნების მომზადება და ჩატარება. პოლიტიკური კრიზისი პოლიტიკური ინსტიტუტების ახალი მანდატის გარეშე ვერ დაიძლევა, ეს სრულიად ნათელია.

ალიანსის პოზიცია არ არის — ან ყველაფერი, ან არაფერი! პოლიტიკა პროცესია, მაგრამ ჩვენ გვაქვს დიდი უპირატესობა ქუჩაში და ამ უპირატესობის რეალიზებას მოლაპარაკების მაგიდასთანაც ვაპირებთ.

**— რადიკალური გზების გამოყენებას თითქოს არ აპირებთ, მაგრამ სწორედ მაშინ „გაცხარდა" ხელისუფლება, როცა ოპოზიციამ მაგისტრალების გადაკეტვა გაახმოვანა...**

— ეს ხელისუფლებისთვის, მართლაც, შემაშფოთებელი იყო, თუმცა მაქსიმალურად ვცდილობთ, არ გავხდეთ იძულებული, მივმართოთ ასეთ გზებს. ჩვენ გეგმაზომიერად ვმუშაობთ და პასუხისმგებელი ვართ იმ აქციებზე, რომელსაც ვატარებთ, და არა იმაზე, რაც შეიძლება განიხილებოდეს. დღის წესრიგიდან არაფერი არ მოხსნილა. მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ხელისუფლება დავითანხმოთ, აღიაროს კრიზისი და გახდეს ადეკვატური.

**— ბატონო დავით, თქვენ რეგიონები ახსენეთ. თითქოს თავიდანვე უნდა ჩართულიყვნენ რეგიონები საპროტესტო პროცესში, ეს იქნებოდა აქციები, პიკეტები თუ სხვა, თუმცა ასე არ მოხდა. მხოლოდ ერთი საკანი დაიდგა ზუგდიდში, ესაა და ეს. რატომ?**

— რეგიონების ჩართვა მინიმალური იყო. თუმცა ჯერ იქ „ეროვნული ფორუმი" გავიდა, შემდეგ ჩვენმა ალიანსმა მოაწყო ორგანიზებული მსვლელობა რეგიონებიდან. მათი წარმომადგენლები თბილისში გამართულ მიტინგებში პერიოდულად მონაწილეობდნენ... რაკი ხელისუფლებამ მხოლოდ თბილისის ხმა არ შეისმინა, ამ დღეებში ვაპირებთ სერიოზული აქციების ჩატარებას. 20-ში იქნება აქცია ბათუმში, 21-ში — ქუთაისში და ასე, სხვა რეგიონულ ცენტრებშიც. ეს ფაქტორი იქნება გამოყენებული, ხოლო 26 მაისს იქნება ძალიან დიდი შეკრება ჯერ სტადიონზე და შემდეგ — რუსთაველზე. რაც უფრო მალე გახდება ხელისუფლება ადეკვატური, მით უკეთესი.

**— კოსტავას ქუჩის გახსნას ბევრი გაუგებრობა და ლამის მოქალაქეთა დაპირისპირება მოჰყვა. ვისგან წამოვიდა ქუჩის გახსნის ინიციატივა, ეს მართლაც, მხოლოდ ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილება იყო?**

— ამაზე მსჯელობა მიმდინარეობდა. ალიანსის სამივე სუბიექტი დიდი ხანია ფიქრობდა კოსტავას ქუჩის გახსნაზე. ჩატარდა კვლევა და ამის შესაბამისად ყველა პარტიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება გზის გახსნაზე. ალიანსი მართლაც იყო დაინტერესებული კოსტავას ქუჩის გახსნით, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ აქციამ ამ ფორმით თავი ამოწურა. გზის გახსნა მოსახლეობისთვის სასარგებლოა, თან 26 მაისისთვის უკვე გვაქვს გეგმები და აქციების სხვა ფორმებსაც გამოვიყენებთ, რომელიც უფრო მეტ მასშტაბებს მოითხოვს.

ესაუბრა
**თეა მოსია**

**ავადმყოფობის ისტორია**

# გიჟი ვარ, მა რა ვარ!

## ანუ ამბავი, რომელიც ზოგიერთს შეიძლება დაუჯერებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ ნამდვილად კი გადამხდა

**ჰოოდა, იმაი გეუბნებოდით, წრეულს, 16 მარტსა ქალაქში დამპატიჟეს დაბადების დღეზედა. ჩამოვედით მე და ჩემი დედაკაცი ევაი. ჰო, რო არ დამავიწყდეს, მე კიდევ ყორაანთ გოგიას მეძახიან. ჩამოვედით და მივედით რესტორანში, ვერაზედა. კაი ვსვით, კაი ვჭამეთ და კარგად მოვილხინეთ კიდეცა. მეცა და ჩემმა ევამაცა. მართალია, ღვინო იგეთი არ იყო, იმ პატიოსან საზოგადოებას და იმ პურისჭამას რო ეკადრებოდა, მაგრამ არა უშავდა რა.**

თამადა ძაან კაი ვინმე იყო. ქალაქელები რო გაიძახიან, მაგარიო, ეგეთი იყო. მის ნათქვამებიდან კი ბევრი ვერაფერი გავიგე, მაგრამ ხალხი კინაღამ დახოცა სიცილითა. მოკლედ, ასე, რვა საათზე წამოვედით მე და ჩემი ევაი იმ პურისჭამიდანა, დავჯექით ყვითელ ავტობუსში და წამოვედით საბურთალოზე, ჩემ ძვისლთანა. ძაან უჟმური ამინდი იყო.

ჰოოდა, ვზივართ ავტობუსში — ყვითელში თავისთავად. ევა თავის შთაბეჭდილებებზე მექაქანება, მე კიდე ხელის ტრაქტორის კოლცოები მაქ დასაცვლელი და იმაზე ვფიქრობ, თან ყასიდად თავ ვაკანტურებ.

ამ კანტურ-კანტურში ვარ, უცებ თვალთ დამიბნელდა და ამოღონა კაცი სკამიდან არ გადმოვვარდი?! ატყდა ერთი ჩოჩქოლი და ჟრიამული. მე კიდე ვერაფერ ვხედავ, ვერაფერ ვამბობ, ვერ ვინძრევი, მაგრამ, გაგიკვირდებათ და, ყველაფერი მესმის.

— გააჩერე, კაცო, გააჩერე...

— დაბლა ჩავიყვანოთ დაბლა, ჰაერი უნდა კაცსა!..

— ენა ამოაძრეთ!..

— ყურები დაუზილეთ!..

— ვალიდოლი, ჩქარა, ვალიდოლი გექნებათ ვინმეს..

— ვალიდოლი არა, პამიდორი, ვერ ხედავთ, თქვენი ჭირი წაიღო...

— გახადეთ, ექიმი ვარ, წნევას გავუზომავ.

ჩამომიყვანეს დაბლა. დამაწვინეს ტროტუარზე, მეცხრე ბალნიცის წინა. გამხადეს კურტკაი, დამაგლიჯეს ყურები, ჩამამტვრიეს ორი წინა კბილი და ამომაძრეს ენაი, აი, ისე, ძროხას რო აძრობენ ხოლმე. თანაც, ამასობაში ის ქალი, ექიმი, წნევას მიზომავს.

— ორმოცდაათი ნულზე. ცოცხალია. თუ ხუთ წუთში პრედნიზოლონ არ გაუკეთებთ, მოკვდება.

ქართველების გულისხმიერების ამბავი ხო მოგეხსენებათ. ახლო-მახლო რაც მინერალური წყალი იყო, სუ ზედ დამასხეს. თან მჩქმეტავენ, მილაწუნებენ და ყურის ბიბილოებ მაგლეჯენ.

— სასწრაფოს გამოუძახეთ, სასწრაფოს.

რეკამს ჩემი ცოლი ევაი.

— კაცია ცუდად... სადა? — და აქა, ქუჩაში, ვაკეში.

— ეხლავე მოვა სასწრაფო. რა ჭირს?

— გული აქვს ცუდად.

— მისამართი?

— მეცხრე ბალნიცის წინა.

— ჰოო, თუ მეცხრესთან ხართ, მანდვე შეიყვანეთ, სასწრაფო რაღად გინდათ. ჩვენ კარდიოლოგი მაინც არა გვყავს.

ადგა და გაუთიშა ტელეფონი. დაილოცა ამ ხელის ტელეფონების მამაგონი.

მე კიდე ვწევარ გაუნძრევლად. ვერც თვალ ვახელ და ვერც ვტოკამ.

არა, ე ქართველები მართლა კარგები ვართ. ქალაქელებიცა. ოთხმა დამავლო ხელი და სულ ციმციმ შემარბეინა ბალნიცაში. მე კიდე ჩემი დედაკაცი მებრალება, — ჰგონია, რო მოვკვდი.

— ვინ არი? — იკითხა ბალნიცაში ხმამ.

ამასობაში იმ ექიმის მოცემული ხუთი წუთიდან სამი უკვე გავიდა.

— ჩემი კაცია, გოგია, თელავიდან ჩამოვედით. ჩქარა, ცუდადაა.

— რა ჭირს?

— არ ვიცი, ცუდადაა, რამე უშველეთ!

— რამდენი წლისაა?

— ეგ მერე იკითხეთ, ახლა იქნებ გონზე მოიყვანოთ ე უბედური, ვერ ხედავთ, რო კვდება? — აღელდა ერთერთი ჩემი გულშემატკივარი.

— ვხედავ, მაგრამ ვერაფერს გიშველით, კარდიოლოგი არა გვყავს. მერვეში წაიყვანეთ.

დარჩენილი ორი წუთიდან ერთიც გაიპარა.

— სად ცხოვრობთ? მე ტაქსისტი ვარ. დაჯექით, შინ წაგიყვანთ და სასწრაფო იქ გამოიძახეთ. — როგორც იქნა მოუვიდა ვიღაცას გენიალური აზრი.

ჩაგვსვეს ტაქსში (მე ჩამდეს!ძ და წაგვიყვანეს. თან სასწრაფოც გამოიძახეს. ექიმის მოცემული წუთებიც ამოიწურა.

აზრზე რო მოვედი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ზღარბი გადამეყლაპოს. ვიწექი შიშველი, დიდ, ბეტონისიატაკიან დარბაზში საკაცეზედა. ორივე ხელის ვენებში რაღაც ბოთლები მქონდა მიერთებული. ფეხებზე და მხრებზე რაღაც-რაღაცეები დაეწებებინათ. სულ სისხლში ვარ მოთხვრილი. ახლო-მახლო აღარც ჩემი დედაკაცი ჩანს და არც ი კაი ხალხი, ქუჩაში, იმ ყიამათში, ტანთ რო გამხადეს და წყალ მასხავდენ გულმოდგინეთა.

დარბაზში ცივა. ან, რა ვი, მე მცივა. გარშემო უამრავი ხალხი ირევა — ახალგაზრდები, მოწიფულები, ბალღები, თეთრთხალათიანები, ლურჯხალათიანები, კაცები, ქალები, წვრილთვალებიანები, წითელკანიანები ძაან შავები... ჰოდა, ყველა ერთად რაღაცას ყაყანებს. სათვალიანი წითელკანიანი კაცი, აი, ასაკ რო ვერ გამაიცნობ, ისეთი, რაღაცას არიგებს ჩვენს ქართველ ექიმს ინგლისურადა. ისიც სხაპასხუპით ელაპარაკება.

რო დავრწმუნდი, ცოცხალი ვარმეთქი, ახლო რო ერთი პატარა გოგო იყო, დავუძახე.

— მოდი აქა, რამე უნდა გითხრა.

— ხო გითხარი, არ მოკვდება-მეთქი, გადაულაპარაკა მეორე პატარა გოგოს და ორივე მოვიდა.

— ჯერ რამე დამაფარეთ, მცივა და თან შიშველი ვარ. მერე ეს მითხარით, სადა ვარ და აქ როგორ მოვხვდი?

ერთი მაფარებს, მეორე კიდე მეჟღურტულება: — რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მიმღებში ხართ. ცხრა საათზე მოგიყვანეს, კოლაფსურ მდგომარეობაში. გადასხმებს გიკეთებთ. საჭირო ინექციებიც გაგიკეთეთ. ვენებში წვეთოვანები ჩვენ ჩაგიდგით. სტაჟიორები ვართ, სტუდენტები.

— რომელი საათია?

— ახლა ღამის ორი საათია, თქვენები გარეთ არიან.

— ექიმს დაუძახეთ.

დაუძახეს.

— რა გქვია?

— გიორგი მქვია.

— გიორგი შვილო, ან ე ხალხი გააჩუმე, ესე რო ყაყანებენ, ან მე გამანაპირეთ სადმე, თორემ, ვატყობ, ვგიჟდები!

გიორგი ექიმმა, მგონი, გამიღიმა, ზურგი მაქცია და ისევ იმ წითელ კაცთან გააბა ინგლისურადა.

ვითმინე კიდე ხუთი წუთი, შვიდიცა, ათიცა... არა და არ ამთავრებენ ამ გნიასს და აყალმაყალს. არც გამანაპირეს. საბანი ჩაცურდა და დაბლა ჩავარდა. ი ჩემი ნაცნობი სტაჟიორი გოგოებიც სადღაც დაიკარგნენ.

— გიორგი! — ისე დავიღრიალე, იმ დიდი ოთახის მეორე ბოლოში წითელი კაცი შეხტა და შემოტრიალდა, — ახლავე აქ მო, ე ღვედები ამხსენი, შინ გამიშვით, თორე, მე ვიცი შენი... და თან ჩვენებური, მამა-პაპური, ლაზათიანი კურთხევა მივაყოლე.

მაშინვე მოცვივდნენ, ი ბოთლები და პარკები მამხსნეს, ჩამაცვეს, ჩემ დედაკაც დაუძახეს და ხელი რაღაც დოკუმენტზეც მამაწერინეს, ისე ვერ გაგიშვებთო. იმ დოკუმენტში ასეთი რამეც ეწერა — მწვავე შიზოფრენიული შეტევა.

ერთი თბილისელი ძმაკაცი მყავს, თან ექიმია, თან კიდე ჟურნალისტობს, შამანიდი გურამა ჰქვია, შამანიდი მეუბნება, ეგ დიაგნოზი რო დაგისვეს, არსად წამოგცდეს, თორე რაიონის გამგებლობა არ აგცდებაო.

გამგებლობისა რა ვი, მაგრამ ჩემი სიდედრი ჟენია კი მიფრთხილდეს — ეხლა მაინც მიდევ ჯიბეში გიჟის მოწმობა!

ე ჩემი ცოლი ევაი ზის და ტელევიზორ ეჩხუბება. მე კიდე, მიხაილ ზოშჩენკოს მოთხრობებს ვკითხულობ — გიჟი ვარ, მა რა ვარ!

**ყორაანთ გოგია**

**განცხადება**

# ხელისუფლების მორიგი პიარდივერსია

**9 აპრილიდან დღემდე სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ მწვავე და უპრეცედენტოდ ხანგრძლივ საპროტესტო აქციებს ხელისუფლებამ აქამდე, არსებითად, მხოლოდ ცალკეულ მომიტინგეებზე კრიმინალური თავდასხმები, მუხროვანის ცუდად ინსცენირებული „აჯანყება" და „დიალოგის" პიარინიციატივა დაუპირისპირა.**

დიალოგის თემას, ხელისუფლების პიარტექნოლოგთა ჩანაფიქრით, ოპოზიციის რიგებში სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა და განხეთქილება უნდა გამოეწვია, ამ შემოთავაზებაზე უარის თქმას კი საერთაშორისო ასპარეზზე ოპოზიციის ლიდერთა დისკრედიტაცია უნდა მოჰყოლოდა.

ქართული ოპოზიციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის არ აჰყოლია ემოციებს, შეინარჩუნა ერთიანობა და სააკაშვილთან შეხვედრით თვალნათლივ დაანახა საერთაშორისო საზოგადოებრიობას ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის მიმართ ხელისუფლების სრული სიბრმავე და არაადეკვატურობა.

მორიგი პიარდივერსიის თემად რეჟიმმა სცადა გამოეყენებინა ირაკლი ალასანიას იდეა კოსტავას ქუჩის გახსნის შესახებ. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ამან მართლაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, საპროტესტო მოძრაობის ლიდერებმა მოახერხეს ერთობლივი პოზიციის შემუშავება და საზოგადოებას განუმარტეს, რომ ამ უმძიმეს პოლიტიკურ ბრძოლაში მისაღებია მხოლოდ ის მეთოდები, რომლებიც არ დააზარალებს მოსახლეობას, მთლიანად ქვეყანას და მაქსიმალურად იქნება ფოკუსირებული რეჟიმის შემადგენელი ინსტიტუტების შერყევაზე.

ამ ფონზე ჩვენთვის გაუგებარია საზოგადოების ზოგიერთი ცნობილი წევრის გადაჭარბებული ეჭვიანობა და მოუზომავი განცხადებები ცალკეული პოლიტიკური სუბიექტების ინიციატივებთან დაკავშირებით, მით უმეტეს, თუ ეს ინიციატივები აშკარად გონიერებითა და პასუხისმგებლობის გრძნობითაა ნაკარნახევი.

ცხადია, რომ ერთობის დასარღვევად ხელისუფლება მომავალშიც შეეცდება მსგავსი პიარდივერსიების გამოყენებას: ოპოზიციური სპექტრის ერთი ნაწილის დისკრედიტაციას, მეორე ნაწილის პოზიტიურ კონტექსტში მოხსენიებას და ა. შ.

„ქართული აკადემია" გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი საზოგადოებაცა და ოპოზიციაც გამოიჩენენ მტკიცე ნებას, პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას, გონიერებასა და მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, არ აჰყვებიან პროვოკაციებს, დროულად აღკვეთენ განხეთქილების მცდელობებსა და შეინარჩუნებენ ერთობას.

სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმთან ბრძოლა ჩვენ უნდა მოვიგოთ არა მარტო ქუჩაში, არამედ თავად სისტემის შიგნით მომუშავე ადამიანთა შორის, საერთაშორისო არენაზეც და მოლაპარაკების მაგიდასთანაც. ყველა ამ ფრონტზე მიღწეული თუნდაც მცირე წარმატებები, ჯამში, საბოლოო გამარჯვებად გადაიქცევა.

**„ქართული აკადემია"**

წარუშლელი კვალი

# გურამ თოფურიას გაკვეთილები



***გამოჩენილი კავკასიოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ თოფურიას სურვილის თანახმად, ვარლამ და გურამ თოფურიების სამეცნიერო ბიბლიოთეკა და ქართველურ-კავკასიური ენათმეცნიერების ბიბლიოგრაფიის კარტოთეკა, რომელიც მეცნიერმა შეადგინა მრავალწლიანი შრომის შედეგად, გადაეცა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს. ამ ძვირფასი შემოწირულებისათვის ინსტიტუტმა გამოყო საგანგებო კაბინეტი, რომელიც ამ დღეებში ოფიციალურად გაიხსნება.***

***პროფ. ნინო დობორჯგინიძის წერილთან ერთად ვაქვეყნებთ რამდენიმე ამონარიდს გურამ თოფურიას კოლეგებისა და მეგობრების მოგონებებიდან.***

**ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ, რომ ბატონი გურამი ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი იყო, თუმცა მე არც კავკასიოლოგი ვარ და არც ბატონი გურამის სტუდენტი ვყოფილვარ.** მოგვიანებით, ოთხმოციანი წლების ბოლოს, გავიცანი იგი ჩვენი უცხოელი კოლეგების მეშვეობით. ბატონი გურამი საგულდაგულოდ ადგენდა კავკასიოლოგიურ ბიბლიოგრაფიას, აგროვებდა უცხოელი კოლეგებისთვის სხვადასხვა მიზეზით ნაკლებად ცნობილ სამეცნიერო სტატიებს, წერდა ჩრდილოეთ კავკასიაში ან რუსეთში გამოქვეყნებული სტატიების ანოტაციებს და, გადაუჭარბებლად ვამბობ, ამ დარგს აცოცხლებდა საზღვარგარეთ. უცხოელი მეცნიერები სწორედ ბატონი გურამის დაუფასებელ ღვაწლს უკავშირებენ იმ ფაქტს, რომ ენობრივი თუ სხვა, უფრო რთული ბარიერების მიუხედავად, ყოფილ საბჭოთა კავშირში გამოქვეყნებული საუკეთესო კავკასიოლოგიური და ქართველოლოგიური ნაშრომები ყოველთვის ექცეოდა მსოფლიო საენათმეცნიერო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სწორედ ამგვარი თანამშრომლობის გზით შეიქმნა ცნობილი ენათმეცნიერების, ვინფრიდ ბოედერისა და კარლ ჰორსტ შმიდტის ფუნდამენტური ნაშრომები კავკასიოლოგიასა და ქართველოლოგიაში.

პროფესორმა კარლ ჰორსტ შმიდტმა დამსახურებულად შეაფასა ბატონი გურამის მიერ მომზადებული ანოტაციები კავკასიოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, ისტორიად. ბატონი გურამი ამ დარგის „დოკუმენტირებული ისტორიის“ „უმდიდრესი ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური ბიბლიოთეკის „თანაშემქმნელი და მფლობელიც გახლდათ. თოფურიების ოჯახმა გასულ წელს ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას, კერძოდ კი ენათმეცნიერების ინსტიტუტს, დიდსულოვნად გადასცა ვარლამ და გურამ თოფურიების უმდიდრესი ბიბლიოთეკა. იმედი მაქვს, რომ ეს ბიბლიოთეკა იქცევა ენათმეცნიერების ინსტიტუტის „ხელშეუხებელ ფონდად“ ამ ტექნიკური ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით, ხოლო ბატონი გურამი კი მერამდენედ, ახლა უკვე სიკვდილის შემდეგ, გვიხსნის უპატიებელი სირცხვილისგან და გაამდიდრებს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკას, რომელშიც, სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში თვით ბატონი არნოლდის სტატიებისა და წიგნების სრულად დაცვაც კი ვერ მოხერხდა.

იმედს ვიტოვებ, რომ ახალგაზრდა კავკასიოლოგები გააგრძელებენ ბატონი გურამის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო წამოწყებას „კავკასიოლოგიის მემატიანეობას“ და მის უმდიდრეს ბიბლიოთეკასაც ღირსეულად დაიცავენ.

ზემოთ ვთქვი, ბატონი გურამი ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი იყო-მეთქი. ერთ-ერთ ბოლო „გაკვეთილს“ გავიხსენებ. გერმანიაში სამეცნიერო მივლინებით წასვლის წინ ყოველთვის ვხვდებოდი ბატონ გურამს და თან მიმქონდა მის მიერ უცხოელი კოლეგებისთვის საგანგებოდ გამზადებული ბიბლიოგრაფია, ანოტაციები, დისერტაციის ავტორეფერატები, ახალი პუბლიკაციები. ბატონ გურამს კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნაშრომების ჩართვას საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიაში და უამრავ დროს და ენერგიას ახარჯავდა ამ საქმეს. ერთ-ერთი გამგზავრების წინაც, მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვით ადრე, შევხვდი ბატონ გურამს. მას ჯანმრთელობა თითქმის აღარ აძლევდა მუშაობის საშუალებას, თუმცა ეს მის ნამუშევარს არ დასტყობია – საგანგებოდ ჰქონდა შესწავლილი გასაგზავნად გამზადებული მასალა, კომენტარებით, შეფასებებით, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემური კითხვებით – ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რაც წარმოადგენს ქართული საენათმეცნიერო დარგის ისტორიას, რომელსაც იგი უზადო პროფესიონალიზმით ართმევდა თავს და რომლის გამოც მას ასე ემადლიერებიან ჩვენი უცხოელი კოლეგები.

ყოველთვის, როცა დრო არ მყოფნის (ეს არცთუ იშვიათად ხდება) და ნაჩქარევად ვაკეთებ რამეს, სინანულით ვიხსენებ ბატონ გურამს, რომელიც მოახლოებულმა სიკვდილმაც კი ვერააჩქარა, ვერ აიძულა იოლად, მარტივად შეეხედა ჩვეული საქმისათვის.

**ნინო დობორჯგინიძე,**
**პროფესორი.**

* * *

**პროფესორი ვინფრიდ ბოედერი (გერმანია):** ჩვენ მხოლოდ მისი განუმეორებელი და ზღაპრული ბიბლიოთეკის ბიბლიოფილურ ინტერესებსა და სიხარულს როდი ვინაწილებდით: ჩვენ შეგვეძლო უბრალოდ გვესაუბრა ქართული ენათმეცნიერების აწმყოსა და მომავალზე, რომლის ბრწყინვალე და, გარკვეული თვალსაზრისით, ლოიალური, დიპლომატიური წარმომადგენელიც იყო იგი მისი პიროვნების ბუნებრივი ღირსებებისა და მდიდარი გამოცდილების წყალობით. მაგრამ, პირველ ყოვლისა, ის იყო კეთილშობილი და საყვარელი ადამიანი, რომლის თავაზიანობა, დელიკატურობა და ტაქტი არა მარტო მე, არამედ სხვა უცხოელ კოლეგებსაც მასთან ურთიერთობას სიხარულად უქცევდა.

**პროფესორი ალის ჰარისი (აშშ):** თავის ნაშრომებში გურამი თავს არიდებდა ადვილ პასუხს და უფრო ღრმად იკვლევდა რეალურ ისტორიულ ფორმებს. გურამის შრომები იყო გონების ხმა ისტორიულ კვლევებში. მაშინ, როცა სხვები ნაჩქარევ დასკვნების აკეთებდნენ და მცირე საბუთიანობას სჯერდებოდნენ, გურამი ძლიერ არგუმენტაციას ითხოვდა ამა თუ იმ დასკვნის გასამაგრებლად.

**პროფესორი კარლ ჰორსტ შმიდტი (გერმანია):** დაღესტნურ ენათა ბრუნების სისტემა – აღმოსავლეთ-კავკასიურ ენათა გრამატიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი – მან ახალ საფეხურზე აიყვანა პოლიფუნქციური „პალეოერგატივის „კატეგორიის რეკონსტრუქციით. მისეული არგუმენტაცია ყოველთვის შეესაბამებოდა მეცნიერულ მოთხოვნებს და იყო შინაგანად თანამიმდევრული, ამომწურავი და მაქსიმალური სისადავით აღბეჭდილი. ამ მხრივ გურამ თოფურია უნდა მივიჩნიოთ მისაბაძ ნიმუშად მომდევნო თაობებისათვის.

**ენვერ შეიხოვი (მოსკოვი):** გურამ თოფურიას სახლი იყო ციხესიმაგრე არა მარტო დაღესტნელებისათვის, არამედ ყველა კავკასიელისათვის. იგი აგრძელებდა მამამისის – გამოჩენილი ენათმეცნიერის ვარლამ თოფურიას იმ ტრადიციებს, რომელთაც მან საფუძველი ჩაუყარა კავკასიის სამეცნიერო და საგანმანათლებლო (საუნივერსიტეტო) ცენტრების დაარსების საქმეში, ხელმძღვანელობდა დღეს უკვე ცნობილ ჩვენს ენათმეცნიერებს, რომელთაც თავი მოუყარა მთელი ჩრდილო კავკასიიდან და საშუალება მისცა მათ, დაემთავრებინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შემდეგი ნაბიჯი მეცნიერების ასპარეზზე მათ გადადგეს უკვე გურამ თოფურიას მხარდაჭერით. თითქმის ყველა დისერტაციამ, რომლებიც თბილისში იქნა დაცული, მის ხელში გაიარა. ის ყველას ეხმარებოდა, რითაც შეეძლო – თუ რჩევით, თუ ბინით, თუ, უბრალოდ, მეგობრობით.

**პროფესორი ისა აბდულაევი (მაჰაჩყალა):** კავკასიის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით, დაღესტანში, სადაც გურამ თოფურია მიაჩნდათ თავის ყონაღად, იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით. ყველგან ჰყავდა ბევრი მეგობარი, რომლებთანაც მეცნიერება აკავშირებდა. მუდამ ეხმარებოდა ახალგაზრდა დაღესტნელ მეცნიერებს. გურამი თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა არა მარტო კავკასიათმცოდნეობას, არამედ კავკასიაში მშვიდობისა და მეგობრობის დამყარებას, რითაც, მამამისის მსგავსად, უკვდავყო და დაიმკვიდრა კეთილი სახელი.

**თამაზ ჭილაძე**: გურამი თითქოს რუკაზე არარსებული ქვეყნიდან იყო ჩვენთან განგებისგან გამოგზავნილი, ალბათ, იმის შესახსენებლად, რომ ჯერ კიდევ არსებობს პატიოსნება, გულისხმიერება და ერთგულება – ღმერთის საჩუქარი, რომელსაც ცხოვრების დაუნდობლობისა თუ საკუთარი სისუსტის გამო ვერ ვუფრთხილდებით. მისი ჩვენს გვერდით, ჩვენს ახლოს, თუნდაც ერთ ქალაქში ცხოვრება რაღაცნაირ, ჩვენთვისაც ბოლომდე ამოუხსნელ სიმშვიდეს გვანიჭებდა.

**პროფესორი მიხეილ ალექსეევი (მოსკოვი):** დაღესტნურ ენათა შედარებით-ისტორიული მორფოლოგიის პრობლემათა დამუშავებაში გურამ თოფურიას უდავოდ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნის. მისი ნაშრომები, რომლებშიც დიდძალი მასალა ნაკვლევია გარეგნულად იშვიათი სიმსუბუქით, შეიცავს მრავალ უაღრესად საინტერესო მიგნებას. ყოველმა მათგანმა ასე თუ ისე გავლენა იქონია დაღესტნურ კომპარატივისტიკაზე გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

**პროფესორი ლეილა ხუსკივაძე:** ძნელია ისე კრისტალურად განვლო არცთუ ხანმოკლე ცხოვრების გზა, როგორც ეს გურამ თოფურიამ შეძლო. ალბათ, უსამართლობა იქნებოდა, ვარლამ თოფურიას ვაჟი სხვაგვარი ყოფილიყო. ბატონი ვარლამის დიდბუნებოვნება და პიროვნული ღირსებები დღემდე სამაგალითოდ რჩება ქართული საზოგადოების რჩეული ნაწილისათვის. გურამის პიროვნება ნათელი დასტურია იმისა, თუ რა ძალა აქვს ასეთ მაგალითს, როდესაც ოჯახში ხდება ახალგაზრდის ჩამოყალიბება. ის, რასაც გურამი ხედავდა ყოველდღიურად, შემდგომში მისი ცხოვრების წესადაც იქცა და სხვანაირად არც შეეძლო.

პუბლიკაცია მოამზადა
**შუქია აფრიდონიძემ.**

კონფერენცია

# მედეას სამშობლოში ტრადიციული მედიცინის უნივერსიტეტი უნდა იყოს!

**ამ დღეებში ერევანში, საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენცია ჩატარდა თემაზე: – „ტრადიციული მედიცინისა და თანამედროვე მედიცინის ინტეგრაციის საკითხები“.**

კონფერენცია ძალიან წარმომადგენლობითი იყო, გარდა პოსტსაბჭოური რესპუბლიკებიდან ჩამოსული სპეციალისტებისა, უცხოელებიც მონაწილეობდნენ.

დღეს უკვე კამათს აღარ იწვევს, რომ ტრადიციული (ხალხურიძ მედიცინის ფესვები აღმოსავლეთშია. და რაც მთავარია, დღემდე სწორედ იქაა კარგად დაცული და შემონახული ეს საგანძური.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტრადიციული მედიცინის ფესვების კოლხურ წარმომავლობაზე არ დაობენ, არც ბერძენი და არც არაბი ფილოსოფოსები და ამ დარგის სპეციალისტები (ჩინეთის ტრადიციულ მედიცინას ცალკე განიხილავენ).

10 წელია ერევანში ფუნქციონირებს და ქვეყანას კვალიფიციურ თაობებს უზრდის „ტრადიციული მედიცინის უნივერსიტეტი“ სხვადასხვა ქვეყნიდან აქტიურად იწვევენ ცნობილ სპეციალისტებს ლექციების წასაკითხად და მათი გამოცდილების თავიანთ ქვეყანაში დასანერგავად.

ასე მოხდა ამჯერადაც. ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლის, ქართული ტრადიციული მედიცინისა და ჰომეოპათიის ლიგის პრეზიდენტის თორნიკე ალაშვილის მოხსენება დისკზე ჩაიწერეს და ნება თხოვეს ავტორს, რომ სტუდენტების სწავლების პროგრამაში ჩაერთოთ.

**თორნიკე ალაშვილი:** – მედეას სამშობლოში, რომელიც მსოფლიოში აღიარებულია ტრადიციული მედიცინის სამშობლოდ, არ გაგვაჩნია ტრადიციული მედიცინის უნივერსიტეტი. აღარაფერს ვამბობ „უსწორო კარაბადინზე“, რომელსაც ბადალი არა ჰყავს, ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნზე... ჩვენს არქივებსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში 500-600 ხელნაწერია დაცული და შემორჩენილი, რომელთა შესწავლა-დამუშავებაა საჭირო. ქართველი მკვლევარები ამ უნიკალურ საგანძურს მხოლოდ მაშინ გაიხსენებენ ხოლმე, როცა სამეცნიერო ნაშრომი აქვთ დასაწერი.... ჩემი გამოსვლა ეძღვნებოდა ტრადიციული სამედიცინო სისტემების და ჰომეოპათიის შედარებითი ანალიზების დაჯამებას, ერთიან სისტემაში მოქცევას. დავაჯამეთ ქართული ტრადიციული მედიცინის სინდრომები, დიაგნოსტიკური დაავადების ფორმები, შევადარეთ ჩინურ, ბერძნულ, ტიბეტურ ჰომეოპათიასთან და დავიყვანეთ სხვადასხვა ფილოსოფიურ, თეორიულად განსხვავებულ სისტემაში მოვაქციეთ, რამაც ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია.

**– გვაქვს საქართველოში რაიმე სერიოზული ბაზა, რომ ჩვენთანაც შეიქმნას მსგავსი სასწავლებელი?**

– დღესდღეობით პროფესორი რამაზ შენგელია მამის, ბატონ მიხეილ შენგელიას წამოწყებულ საქმეს დიდებულად უძღვება. სხვებიც ბევრნი მუშაობენ კერძო კლინიკებში. მეცამეტე პოლიკლინიკაში მთელი განყოფილებაა ტრადიციული მედიცინისა, სადაც შესაძლებელია სამეცნიერო კვლევები აღდგეს და მიეცეს აკადემიური სტატუსი. ძალიან დასანანია, რომ დღეს ვიწყებთ ამაზე სერიოზულ ზრუნვას, გვჯერა, ჩვენშიც გამოჩნდება ჭკვიანი ქართველი მეცენატი, რომელიც მიხვდება ამ საქმის მსოფლიო მნიშვნელობას და თავის სახელსაც უკვდავყოფს.

**დოდო იორდანიშვილი.**



**სურათზე: ერევნის კონფერენციის მონაწილენი (მარცხნივ პირველი თორნიკე ალაშვილი).**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პუტინი აფხაზეთს მილიარდერად ხდის

**სოჭის რეზიდენცია „რივიერაში“ რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე ვლადიმერ პუტინი შეხვდა აფხაზეთის პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს, და დაჰპირდა მას კრედიტს ერთი მილიარდი რუბლის ოდენობით.** გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ანდრეი კოლესნიკოვი გაოცებული დარჩა, რომ აფხაზეთის პრეზიდენტს ეს თანხა მიაჩნია არასერიოზულად არა მხოლოდ თავისთვის, არამედ ვლადიმერ პუტინისთვისაც.

ბატონი ბაღაფში რეზიდენციაში უფრო ადრე მოვიდა, ვიდრე ვლადიმერ პუტინი, რომელმაც, ეტყობა, ვერ მოასწრო გამოძინება თავისი შორეულ აღმოსავლეთში მივლინების შემდეგ. როდესაც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, ორივე გამოიყურებოდა ერთნაირად ცოცხლად, რომ შეიძლებოდა გვევარაუდა, თითქოს ბატონი ბაღაფშიც ახლახან ჩამოვიდა იაპონიიდან და მონღოლეთიდან.



თითქმის მთელი საუბარი მიმდინარეობდა დახურულ რეჟიმში, მაგრამ მის შემდეგ სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, თუ რა განიხილა მან ვლადიმერ პუტინთან ერთად.

აფხაზეთის პრეზიდენტს ყველაზე მეტად აინტერესებდა კრედიტის ბედი, რომელიც მან ითხოვა თავისი პატარა, მაგრამ ამაყი რესპუბლიკისთვის. ეს არის პირველი კრედიტი, რომელიც აფხაზეთმა სთხოვა რუსეთს.

– ეს მცირე მოცულობაა ჩვენთვის, – აღიარა სერგეი ბაღაფშმა, – და რუსეთისთვისაც...

მეტად საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რა მოცულობას მიიჩნევს სერგეი ბაღაფში მცირედ აფხაზეთისთვის და რუსეთისთვისაც. ეს კი მალე გაირკვა. თანაც ერთი შეხედვით შეიძლება მოგჩვენებოდა, რომ მან პირიქით თქვა: „რუსეთისთვის და აფხაზეთისთვისაც“. სინამდვილეში ახლადშობილი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეეძლო ეთქვა სხვაგვარად, ვიდრე თქვა და მისმა ხალხმა მუხლმოყრით მადლობა უნდა გადაუხადოს თავის პრეზიდენტს ნათქვამისთვის, თანაც იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს აფხაზეთმა სთხოვა ფული რუსეთს და არა, პირიქით.

კრედიტები, სერგეი ბაღაფშის იდეით, მოხმარდება რესპუბლიკაში საბანკო რეფორმებს.

– ესე იგი ეს ხანგრძლივი კრედიტებია, – განმარტა მან.

აფხაზეთი, რომელიც აგებს თავის სახელმწიფო საზღვარს საქართველოსთან, ასევე აკეთებს საბანკო სისტემაშიც, მით უმეტეს, რომ ამან კანონიერი სიამაყე უნდა გამოიწვიოს არა ამ რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის, არამედ რუსეთის მოქალაქეებისთვისაც, რომლებიც, თითქოს, გულისფანცქალით და იმედით ადევნებენ თვალყურს აფხაზეთის გრძელ კრედიტებს.

სხვათა შორის, საზღვრის აგებაც საქართველოს გასწვრივ აღელვებს ბატონ ბაღაფშს.

– რუსი მესაზღვრეები ჩვენს თანამოძმეებთან ერთად დგანან საქართველოსთან საზღვარზე, – განმარტა აფხაზეთის პრეზიდენტმა. – ივნისისთვის ეს პროცესი დამთავრდება.

ესე იგი, ბატონ ბაღაფშს გათვალისწინებული აქვს, მიიღოს კრედიტი არა მხოლოდ ცოცხალი ფულით, არამედ თავად რუსი მესაზღვრეებითაც.

მე შევეკითხე აფხაზეთის პრეზიდენტს, თუ ადევნებს იგი თვალყურს, როგორ მიმდინარეობს ნატოს სწავლება საქართველოში.

– ჩვენ თავად ვატარებთ ჩვენს სწავლებას, – გვაცნობა სერგეი ბაღაფშმა.

– მაგრამ ვიცით იმის შესახებაც, თუ რა კეთდება იქ.

– თქვენ იყენებთ თქვენი დაზვერვის მონაცემებს? – შევეკითხე მე.

– ჩვენი დაზვერვაც მუშაობს, და არა მარტო ჩვენიც, – განაცხადა ბატონმა ბაღაფშმა.

– როგორ მიმდინარეობს იქ სწავლება? – შევეცადე მის დაზუსტებას.

– ის მიმდინარეობს, – მოკლედ მიპასუხა სერგეი ბაღაფშმა.

გასაგები იყო, თუ რა ჰქონდა მას მხედველობაში: – ის მიმდინარეობს, როგორც მთელ მსოფლიოში. ყველაფერი დამთავრდება, მათ შორის ეს სწავლებაც.

– ჩვენ დავიღალეთ სპექტაკლებისგან, რასაც საქართველო აწყობს, – წარმოთქვა მან, რითაც დაამთავრა ეს თემა და ეს იყო ის წუთიერი გაელვება, როდესაც გინდა უთხრა მას: „მჯერა“.

დასასრულ, სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ მოიწვია რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე, რათა მან დაათვალიეროს აფხაზეთი და ეს წინადადება კმაყოფილებით იქნა მიღებული. ვადები ზუსტდება.

ამ დღის მოვლენათა ლოგიკით ვლადიმერ პუტინის ვიზიტი აფხაზეთში სჭირდება ამ ქვეყანას არა ნაკლებად, ვიდრე თავად რუსეთსაც.

ბოლოს შევეკითხე აფხაზეთის პრეზიდენტს, თუ მოილაპარაკა მან კრედიტის მიღების შესახებ.

– იმედი მაქვს, რომ მივიღებ, – ერთგვარი ყოყმანის შემდეგ თქვა მან.

ცოტა მერყეობის შემდეგ კი დაუმატა, თითქოს თავისი თავი დაარწმუნა და უკვე მერყეობის გარეშე განაცხადა:

– დიახ! მივიღე!

Коммерсантъ

## საქართველოში შეჭრამ აჩვენა, რომ სამხედრო სიძლიერე ჯერ კიდევ რაღაცას ნიშნავს

**ამას ამტკიცებს სტატიის ავტორი. ამერიკის შეერთებული შტატების შეცდომები ერაყში ჯერ კიდევ არ არის საბაბი იმისათვის, რომ სამხედრო ძალას გადმონაშთი ვუწოდოთ.** 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ხელმძღვანელობა მოქმედებდა უგულო გაბედულებით და ეფექტიანად, ევროკავშირი და მისი წევრი-ქვეყნები კი უსუსურად უყურებდნენ მას შორიდან. „ჩვენ არ შეგვიძლია გავაგზავნოთ იქ მოერიშეები, სამაგიეროდ შეგვიძლია განვიხილოთ რუსეთთან სავაჭრო და ეკონომიკური პოლიტიკა. ჩვენ – ეკონომიკური ძალა ვართ“, – განაცხადა მაშინ ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენმა მარტინ სელმაირმა.

ევროკავშირს აშკარად არ ჰყოფნის საშუალებანი, რათა მოახდინოს წევრი- ქვეყნების ტერიტორიების მიღმა სამხედრო ძალების პროეცირება. ეს კი სიმპტომატური აღიარებაა იმისა, რომ ევროკავშირს, ნახევარსაუკუნოვანი წარმატებული პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების შემდეგ, არ შეუძლია შექმნას საკუთარი სამხედრო სტრუქტურები.

პაოლო ლიბლ ფონ შირახი

„იუნაიტედ პრესი“

# თბილისის ალების ბიზნეს-გეგმა

**სოჭში გაიმართა საქართველოს ქალაქების საერთაშორისო კონფერენცია.** მასზე მიღებულმა რეზოლუციამ აღნიშნა მოთხოვნა საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომლის შესრულებაც აუცილებელია ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლისთვის. მაგრამ მთავარი – კონფერენციაზე არსებითად დასახელებულ იქნა კრემლის ახალი ფავორიტი საქართველოში პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლაში.



კონფერენციის ორგანიზატორმა, ბიზნესმენმა გოჩა ძასოხოვმა, რომელიც შარშან აგვისტოში წამოვიდა საქართველოდან და რუსეთში შექმნა თბილისისთვის ოპოზიციური საქართველოს ქალაქების ასამბლეა, განაცხადა, რომ „ლონისძიების შესახებ დიდხანს ისაუბრებს“. თუ რა ჰქონდა მას მხედველობაში, ნათელი გახდა მხოლოდ კონფერენციის დასასრულისთვის, როდესაც სიტყვა აიღო პიტერელმა ბიზნესმენმა ალექსანდრე ებრალიძემ. კულუარებში მის შესახებ ლაპარაკობდნენ, რომ იგი არის „პუტინის გუნდის კაცი“ და სახელი გაითქვა შერემეტიევის სასახლის ყიდვითა და მისი რეკონსტრუქციით.

ბატონმა ებრალიძემ უმალვე დააყენა წინადადება „შეიქმნას პლატფორმა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელებისთვის“, აგრეთვე პარტიისა, რომელიც გამოხატავდა რუსეთში მცხოვრები ქართველების ინტერესებს და მონაწილეობას მიიღებდა საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში.

შემდეგ ბიზნესმენმა კონფერენციას მოახსენა თავისი ხედვა საქართველოს პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ქვეყანა უნდა იყოს ნეიტრალური, ბლოკსგარეშე, მისმა ხელისუფლებამ კი მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან და დაამყაროს „კეთილმეზობლური ურთიერთობანი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან“. ეს ზომები, აგრეთვე „საქართველოს მართვის ახალი სახელმწიფო მოდელის“ შექმნა მიგვიყვანს, ბიზნესმენის აზრით, მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასთან და ეკონომიკურ განვითარებასთან.

საინტერესოა, რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დასაწყისში რაღაც ამგვარი შესთავაზა მას მოსკოვმა. შეიძლება შემთხვევითი არ იყოს, რომ ეს გეგმა კვლავ აქტუალური აღმოჩნდა სწორედ ახლა – საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ფონზე.

ბიზნესმენი ებრალიძე კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ მზად არის კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტობაზე. „მე 20 წელი ველოდი, – თქვა მან, – ახლა კი უარს ვამბობ თავმდაბლობაზე“. ბიზნესმენმა თავისი სიტყვა დაამთავრა „უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის“ სიტყვებით: „ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!“.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ულტიმატუმი საქართველოს ხელისუფლების მისამართით. „საქართველო უნდა გახდეს ნეიტრალური, ბლოკსგარეშე სახელმწიფო, რომელიც ავითარებს ურთიერთობას თავის მეზობლებთან და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან, – აღნიშნულია რეზოლუციაში. – ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან არ უნდა მოდიოდეს სამხედრო დაშინება, ვისი მისამართითაც არ უნდა იყოს იგი. საქართველომ თავის მხრივ უნდა მიიღოს საერთაშორისო გარანტიები მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. საქართველოს დიდმნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა გახდეს რუსეთის ფედერაციასთან კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის აღდგენა და განვითარება“. რეზოლუცია აფიქსირებს აგრეთვე „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის მიმზიდველ პირობებს, რესტიტუციის შესახებ კანონების უსიტყვო შესრულებას, საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების გარანტირებულ უფლებას, ყოველგვარი სასაზღვრო, საბაჟო და სხვა ბარიერების მოხსნას, კონფლიქტური ზონების დემილიტარიზაციას ურთიერთგაგების საფუძველზე“.

თავად ბატონი ებრალიძე აცხადებს, რომ იგი „მხოლოდ ახლა დაადგა გზას პრეზიდენტობისთვის ბრძოლისკენ“ და, რომ ამ გზაზე იქნება „ბევრი სიურპრიზი“.

– მაგრამ სააკაშვილი არ მოგცემთ თქვენ მოქალაქეობას.

– რატომ ფიქრობთ ასე? ვფიქრობ, რომ მომცემს.

– შეკითხვაზე რუსეთის პრემიერთან სიახლოვის შესახებ ბიზნესმენმა ფრთხილად უპასუხა: „მე ძალიან მინდოდა გავცნობოდი მას პირადად, მაგრამ ეს ასე არ არის“.

ოლგა ალიონოვა

Коммерсантъ

ნობელიანტები

*ვერ ვიტყვი, რომ ჩვენში ამჟამინდელი ლიტერატურული ცხოვრება საზოგადოებრიობის გაფაციცებული ყურადღებით სარგებლობდეს – „დრომ ახალი ძალით დაჰკრა, სხვაა ადამიანი...“ მკითხველიც სხვაა, ბევრმა ხომ მკითხველობას და მწიგნობრობას მეკომპიუტერეობა და მეინტერნეტეობა ამჯობინა.*

*და მაინც, მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ გამომცემლობა ინტელექტის მიერ კახმეგ კუდავას ჩინებული საგამომცემლო პროექტის „ნობელის პრემიის ლაურეატების“ მიხედვით გამოსული კიდევ ერთი, რიგით 21-ე (!) წიგნი.*

# საეტაპო თხზულებად მოაზრებული

ლაპარაკია თანამედროვეობის გამორჩეული პროზაიკოსის, ლიტერატურის დარგში 2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი თურქი მწერლის **ორჰან ფამუქის** სახელგანთქმულ რომანზე **„თეთრი ციხესიმაგრე“**, რომელიც თურქულიდან ქართულად თარგმნა აღმოსავლეთმცოდნე **ქეთევან ტომარაძემ.**

ვესაუბრებით ქალბატონ ქეთევანს, თურქული ლიტერატურის სპეციალისტს, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წამყვან თანამშრომელს.

**– ორჰან ფამუქის რომანის თარგმნა ნობელის პრემიამ გაფიქრებინათ თუ ადრეც გქონდათ განზრახული ქართველი მკითხველისთვის ამ მწერლის შემოქმედების გაცნობა?**

– კარგა ხანია, რაც თვალს ვადევნებ ფამუქის შემოქმედებით აღმასვლას. პირველად პოპულარული რომანი „შავი წიგნი“ წავიკითხე, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ისე, ამ მწერლის მძლავრი შემოქმედებითი პოტენციალი როდი გამკვირვებია. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, თურქული ლიტერატურა მძლავრ ნაკადად ერთვის მსოფლიო მწერლობას და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევს – ამას გეუბნებით, როგორც ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყნის ლიტერატურის სპეციალისტი. ფამუქისთვის 2006 წლის ნობელის პრემიის მინიჭება უნდა აღვიქვათ, როგორც მხატვრულ-ინტელექტუალური ძიებების ლოგიკური შედეგი თურქეთში.

**– რამ განაპირობა „თეთრი ციხესიმაგრის“ არჩევანი – რამდენადაც ჩემთვისაც ცნობილია, მწერლის სხვა რომანები არანაკლებ პოპულარულია, ხომ?**

– ფამუქის რომანები კარგა ხანია, რაც რუსულად ითარგმნა. ჩვენამდე ინგლისურმა თარგმანებმაც მოაღწია. ეს გარემოებები ზრდის მთარგმნელობით პასუხისმგებლობას.

თურქი მწერალი თავისი წიგნების ქართულად დასტამბვას კარგა ხანია ელის. საქართველოს მიმართ ერთობ გულთბილად გახლავთ განწყობილი, რაც ხშირად გამოუხატავს სხვადასხვა შეხვედრასა თუ საუბარში; მეგობრებს შორის მრავლად ჰყავს ეთნიკური ქართველი; განზრახული აქვს საქართველოში სტუმრობა და მწერლებთან შეხვედრა.

უნდა შევნიშნო, რომ ფამუქს ნობელის პრემია მიეკუთვნა მთელი შემოქმედებისთვის და არა რომელიმე ერთ ნაწარმოებისა, თუნდაც „სტამბოლის“ გამო, როგორც ზოგჯერ არასწორად იტყობინებიან ჟურნალისტები.

ორიგინალური სიმბოლოებით გაჯერებული მისი რომანები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა და ეთნიკურ ჯგუფთა თანაცხოვრების, კაცობრიობის მომავლის ერთგვარი მხატვრულ-ფილოსოფიური მოდელია, მკითხველისთვის შეთავაზებული.

მწერლის ძირითადი შემოქმედებითი კრედო ოსტატურად აისახა მის ერთ-ერთ საეტაპო თხზულებაში „თეთრი ციხესიმაგრე“, რომელზეც, შედარებით მცირე ფორმატის მიუხედავად ფამუქმა 11 წელი იმუშავა. რომანმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება




თურქეთშიც და გარეთაც; აშშ-ში გამოჩენისთანავე მიეცა მაღალი შეფასება, დიდ ბრიტანეთში 1990 წელს პრესტიჟული ჯილდო დაიმსახურა, როგორც საუკეთესო უცხოურმა რომანმა. საერთოდ კი, ნობელამდე და შემდგომაც, ფამუქს უამრავი პრემია აქვს მოპოვებული მთელ მსოფლიოში.

„თეთრი ციხესიმაგრის“ წარმატება, იდეური მიზანდასახულობის გარდა, ავტორის მაღალმა სამწერლო ოსტატობამ უზრუნველყო: ცხოვრების სიღრმისეული გააზრება, მარადიულ ღირებულებათა ლაკონიურად და ხატოვნად წარმოჩენა, გარესამყაროს მიმზიდველი ასახვა, საგულისხმო მხატვრულ სტრუქტურებად ფორმირების უნარი. ამ და სხვა ღირსებების გამო მოიაზრება რომანი ფამუქის შემოქმედების საეტაპო ნაწარმოებად.

ჩვენ მიერ მომზადებულ წიგნში, რომანთან ერთად, შევიდა ამავე ავტორის ანალიტიკური წერილი „ამბავი თეთრი ციხესიმაგრისა“, სანობელო სიტყვა და ფაქიზი ფსიქოლოგიზმით აღსავსე მოთხრობა „ფანჯრიდან ყურება“. ასე შევეცადეთ მკითხველისთვის რამდენადმე სრული წარმოდგენის შექმნას მწერლის ოსტატობასა და მხატვრულ-ფილოსოფიურ თვალსაწიერზე შესავალი წერილით „წიგნი ჩემზე და შენზე“

**– მასმედიის საშუალებებში შემხვდა კეთილმოსურნე შეფასებები თქვენი ნამუშევრისა. ჩანს, მკითხველი ინტერესით გამოეხმაურა თქვენ მიერ თარგმნილ „თეთრ ციხესიმაგრეს“...**

– როგორც ვთქვით, ფამუქის თხზულებები მთელს მსოფლიოში ძალიან პოპულარულია და მისასალმებელია, რომ ქართველი მკითხველი გაეცნო ამ რომანს. სასურველია, მთარგმნელობითი მუშაობის გააქტიურება, მწერლის სხვა ნაწარმოებთა გადმოქართულება და დროულად გამოცემა, მით უმეტეს, რომ ჩვენში თურქოლოგიური სკოლა ძლიერია. გამოცდილი მთარგმნელები წლების მანძილზე აცნობდნენ მკითხველს სხვადასხვა ეპოქის თურქ შემოქმედთა პროზაულ თუ პოეტურ შედევრებს.

საკმარისია თუნდაც სერგი ჯიქიას, ელიზბარ ჯაველიძის, ლია ჩლაიძის, გიორგი შაყულაშვილის, ირა გოცირიძის, გიორგი ანთელავას, ნოდარ და ნანა ჯანაშიების ხსენება. მათი ნაყოფიერი საქმიანობა ნიშანსვეტია იმ ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის, ვისაც აქვს უფროსი თაობისგან დაწყებული ესოდენ მნიშვნელოვანი კულტურულ-ეროვნული მისიის განგრძობის სურვილი. ისიც სათქმელია, რომ თურქეთთან კულტურულ-სამეცნიერო კონტაქტები რამდენადმე ჩამორჩება ამ დიდ მეზობელთან ინტენსიურ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ-სამეურნეო ურთიერთობებს.

**– ერთი „ციხესიმაგრე“ აღებულია, წინ სხვა გელით... ხომ არ გაქვთ რაიმე ინფორმაცია „ამწუთელ“ ფამუქზე – სად არის, რასა იქმს?...**

– ნობელის პრემიის მიღების შემდეგ ის, სხვადასხვა გარემოების გამო, იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა და აშშ-ში გადასულიყო, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი შემოქმედება ერთობ პოპულარულია და ღირსეულადაც ფასდება. ამჟამად მწერალი კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ და ლექციებს კითხულობს თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებზე. სულ ახლახან დაასრულა რომანი სახელწოდებით „მუზეუმი უბიწოებისა“, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ინგლისურად უკვე ითარგმნა!

მკითხველისთვის ეგებ საგულისხმო იყოს ის ფაქტიც, რომ ორჰანის ძმა შევქეთ ფამუქი, მწერლის მიერ შექმნილი ზოგიერთი პერსონაჟის პროტოტიპი, ცნობილი ისტორიკოსია, ბოსფორის უნივერსიტეტის პროფესორი, რომლის გამოკვლევებს ოსმალეთის ისტორიისა და ეკონომიკის საკითხებზე საერთაშორისო აღიარება ხვდა...

ქალბატონი ქეთევანის შეტყობინების კვალდაკვალ – რომ ორჰან ფამუქს ახალი რომანი „მუზეუმი უბიწოებისა“ გამოუქვეყნებია – იმედი გამოვთქვათ: თურქი ნობელიანტის ამ ახალი ნაწარმოებითაც დაინტერესდებიან ჩვენი მთარგმნელები და მალე მათ ქართულადაც ვიხილავთ...

**თამაზ ეზანოიძე**

გამოიცა

## როგორ ვებრძოლოთ კიბოს?

**„როგორ ვებრძოლოთ კიბოს“, – ასე ჰქვია ბროშურას, რომელიც გამოიცა არასამთავრობო ორგანიზაცია ექიმთა კავშირის ფონდის „საქართველოს ბაგრატიონთა ოჯახის საქველმოქმედო ორგანიზაციის“ დახმარებით.**

ამ წიგნის გამოცემა უთუოდ აქტუალურია, ვინაიდან კიბოთი დაავადებულთა სტატისტიკა თანდათან საგანგაშო ხდება. თუ უწინ მათი ასაკი 50-60 წლის და ზევით იწყებოდა, ახლა ამ მაჩვენებელმა 40-45 წლამდე დაიწია. კიბოთი დაავადების გამომწვევი მიზეზი ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ მავნე ეკოლოგიური და სოციალური პირობები, უხარისხო სასურსათო და საყოფაცხოვრებო პროდუქცია აშკარად ზრდის და ავითარებს კიბოთი დაავადების ალბათობას...

ეს ბროშურა დაეხმარება ყველას, თუ როგორ უნდა იბრძოლონ კიბოს წინააღმდეგ. აქვე გაეცნობით „ექიმთა კავშირის“ რეკომენდაციებს კიბოსგან თავის დასაცავად. ამიტომაც აუცილებელია ამ ბროშურის მოსახლეობაში დარიგება, რათა რაც შეიძლება ბევრი ადამიანი გაეცნოს კიბოს პრევენციისა და მკურნალობის ახალ მიმართულებებს.

**ნატა ნიბლაძე**

წარდგენილია ეროვნულ პრემიაზე

# „მხრებით ქართლის ცა მიჭირავს“...

**მანანა ჩიტიშვილის ორი პოეტური კრებული: ერთტომეული „სიყვარულია მარადი“ (ეროვნული მწერლობა, 2005) და „100 ლექსი“ (ინტელექტი, 2008) ეროვნულ პრემიაზეა წარდგენილი.**

ვკითხულობ ამ სტრიქონებს, „სივრცეებში ცისკრით ცისკრამდი“ განფენილებს და ასე მგონია, ერთდროულად მოზღვავებულია სიხარულიც და მწუხარებაც, სასოებაც და უსასოობაც: „ლექსები გაყინული სისხლის წვეთებია“ და იმავდროულად – „მაყვლის ბარდთან გახელილი იის ლურჯი თვალიც“.

პოეტი შეძრულია ტკივილით: „ქსანს და არაგვს უცხო მუმლი მისევიაო“, – ამბობს. ჟამი ქარწვიმებით სავსეა. დაუნდობელია „ჟამთასვლის კევრიც“, სისხლმდინარ კრწანისთან „ღრუბლები ელვის შუბებს ლეწავენ“... ქართლის გზაზეც სიმშვიდე არ სუფევს:

**„ვინ თქვა სიმშვიდე, როცა ბალახიც**
**სატევარივით მოდის მიწიდან“.**

ასეთ დროს პოეტის სული „მარტოდ ვალალებს, არ ჩანს მშველელი, საიმედო თუნდაც დროებით“. სასტიკ ქარში ცახცახებს ქსნის პირას, შეუმჩნევლად ამოსული ლურჯი ბილილა, ქართლის ჭრელყვავილა მინდვრები. მანანა ჩიტიშვილი ტაძარს აგებს, სადაც სიტყვები ცრემლის კირით ნალესია. ამ სიტყვებს ერთმანეთი უყვართ. ცრემლით და სიყვარულით აღმართულა ლექსი მტრის პირისპირ:

**„რა ცის ქარმა,**
**რომ სიტყვების უკვდავ**
**ტაძარში**
**დაბადებიდან მონაზონად**
**ვარ აღკვეცილი“..**

**„იმდენი ცრემლი, მანანა ჩიტიშვილს რო დაუღვრია ჩვენს პოეზიაში – სხვას არავისა. ტყუილად ნურავინ ამიხირდება. ეს ცრემლის პოეტია. ხილვების ცრემლშია, გაცრილ ცრემლში.**

**ცრემლში გამოკრთის უსასტიკესი მომაკვდინებელი იარაღი, ნგრევაი ულმერთოი, ნგრევაი ქვეყნისა, ნგრევაი სულისა, შინაგანი ნგრევაი ადამიანისა.**

**და თითქოს ცრემლმავე უნდა ააგოს, ააშენოს, კვლავ აიტანოს სული იგი ნანგრევებიდანა. ააშენოს, აიტანოს“,** – წერს მანანა ჩიტიშვილის შემოქმედებაზე ოთარ ჩხეიძე.

მანანა ჩიტიშვილი ცრემლისა და ლოცვის პოეტია. „შენ ჩემი ლოცვა გიშველის“, – სჯერა ცრემლით მეკირითხუროს. ლოცულობს, როდესაც ქსანზე ბალახს ხელს გადაუსვამს და მთელ საქართველოს ეფერება, ლოცვით ევედრება გზისპირას მობიბინე ბალახს, ერთი საიდუმლო გამიმხილე, მიწიდან როგორ ამოხვედიო. ლოცვის ჟამს შაბიამანისგან გაცრეცილ გარდაცვლილი მამის ხალათსაც შვილებზე მონატრებით შეკანკალებს... პოეტი მლოცველივით არწევს აკვანს უკარფანჯრებო სახლში და სასოებით გაჰყურებს შვილის სავალ გზას... ეს სიცოცხლის გზაა...

**„ქსანზე რომ ბოკვრებს**
**გავზრდი ხვალე,**
**ჩემს საქართველოს შეემატოს“.**

მაგრამ ჯერ ისევ ბინდია, „ღრუბლები ქართლის ზეცას კაფავენ“. გზა ლოდებით ჩახერგილია:

**„ქსანზე ვარ,**
**სიმწრის მარილს ვლოკ,**
**მხრებით ქართლის ცა**
**მიჭირავს“.**

ხეთა ჩუმ მოთქმაში „გულიდან სისხლად სტრიქონი წვეთავს“. წრიალებს სული ცხმორ-




თან, ანანურთან, შენაქოსთან და დამარცხებულ საქართველოშიც ივედრება: „მოვკვდები, ქსნის სათავესთან სატევარივით დამდეთ!“

ვკითხულობ მანანა ჩიტიშვილის სტრიქონებს და ეკლები მაყრის, განცდა სისხლმდინარე ყაყაჩოსფერია:

**„ჭრილობასავით გაიხსნება**
**ქართლში ყაყაჩო –**
**მეწამული და მოელვარე**
**ქრისტეს კვარივით“...**

თუ გაბრიელ ჯაბუშანური ამბობდა: მე ჭავჭავაძის ვარ სისხლის წვეთიო, ლადო ასათიანმა კი კრწანისის ყაყაჩოები ამოგვიშანთა სულში, **მანანა ჩიტიშვილის ტკივილი ქართლის ყაყაჩოებია, რადგანაც ახლა კრწანისი ქართლშია.**

პოეტმა იცის, რომ სამშობლოს მასავით ვერც ვერავინ იტირებს და ვერც ვერავინ მოეფერება. „აჰა, სამშობლო ჩემი, როგორც ანგელოზი სუსტფრთებიანი უიმედოდ აწყდება წყვდიადს“... ძვლებამდე ატანს გოგლასეული მოხილვება. მეჭირისუფლე-პოეტი წყვდიადს უცხო ნათელით გაფანტავს, შორს კი ნისლებში იესოს ნაფეხურებივით იწყებენ ბრწყინვას ვარსკვლავები...

**თამარ შაიშმელაშვილი**

კალათბურთი

# 104 ქულა: ეს ნორმაა

**დღეს თბილისის სპორტის სასახლეში 16 საათსა და 15 წუთზე დაიწყება კალათბურთელ ვაჟთა XVIII ეროვნული ჩემპიონატის ფინალური სერიის მესამე და, ალბათ, უკანასკნელი მატჩი „სასოფლოსა“ და რუსთავის „ენერჯი ინვესტს“ შორის.**

ზემოთ გამოთქმული ვარაუდი, რომ სტუმრები ვადამდე შეინარჩუნებენ სუპერლიგის ჩემპიონობას, სხვადასხვა წონითი კატეგორიის მეტოქეთა წინა ორი შეხვედრის შედეგს ეფუძნება, რომლებიც დავით უსტიაშვილის შეგირდებმა აშკარა უპირატესობით მოიგეს – 104:59, 104:70 და პლეი-ოფში დაწინაურდნენ – 2:0.

მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში გამართული მეორე თამაშის გმირად ლაშა გამყრელიძე მოგვევლინა, რომელიც პარტნიორებს 21 ქულით შეეწია. აგრარიკოსთა სნაიპერმა მიხეილ ბერიშვილმა 16 ქულა მოაგროვა.

**გიორგი შოთაძე**



ჰოკეი

# კანადელთა კრახი



**„ჩიკაგო“ ერთადერთი კლუბია, რომელმაც ვადამდე მოიპოვა ჰოკეის ეროვნული ლიგის (ნჰლ) ნახევარფინალში თამაშის უფლება. მისმა მეტოქემ – „ვანკუვერმა“ მხოლოდ ერთი ბრძოლის მოგება შეძლო და სერია 1:4 წააგო.**

დანარჩენ წყვილებში უძლიერესთა გამოსავლენად მეშვიდე მატჩის გამართვა გახდა საჭირო: „კაროლინა“ – „ბოსტონი“ 4:3, „დეტროიტი“ – „ანაჰაიმი“ 4:3, „პიტსბურგი“ – „ვაშინგტონი“ 4:3.

მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას: „ოქროს“ მაძიებელთა შორის მხოლოდ ამერიკული გუნდები შემორჩნენ. კანადის უკანასკნელი მოჰიკანი „ვანკუვერი“ იყო.

ნბა

# ორი უცნობი

**გაირკვა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) ორი ნახევარფინალისტის ვინაობა. ესენი არიან „დენვერ ნაგეთსი“ და „კლივლენდ კავალიერზი“, რომლებმაც პლეი-ოფებში აშკარა უპირატესობით სძლიეს, შესაბამისად, „დალას მავერიქსსა“ – 4:1 და ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოუქსს“ – 4:0.**



ზაზა ფაჩულია და „ატლანტას“ მწვრთნელი მაიკ ვუდსონი

განსაკუთრებულ მოულოდნელობად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტეხასელთა კრახი, რომლებმაც მრისხანე მეტოქეს მხოლოდ მეოთხე შეხვედრაში გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა და დირკ ნოვიცკის ძალისხმევით (44 ქულა) მოუგეს კიდეც – 117:115.

სამწუხაროდ, ქართველი ლეგიონერის კლუბმა ესეც ვერ მოახერხა და მშრალი ანგარიშით დათმო სერია, თუმცა, მეოთხედფინალში დიდი ხნის შესვენების შემდეგ გასულ ჯორჯიელთა გასაკრიტიკებლად კაცს ძნელად თუ მოუბრუნდება ენა – მათი მეტოქე ხომ რეგულარული სეზონის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო. დავძენთ, რომ „ჯვაროსანთა“ კაპიტანი დისკვალიფიკაციის გამო ორ დასკვნით ბრძოლაში სარბიელზე არ გამოჩენილა.

რაც შეეხება დანარჩენ წყვილებს, მათ უმძაფრესი დუელი აქვთ ერთმანეთთან გაჩაღებული: „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ – „ჰიუსტონ როკეტსი“ 3:3 და „ბოსტონ სელტიქსი“ – „ორლანდო მეჯიქი“ 3:3. მათ შორის გამარჯვებულს გადამწყვეტი მეშვიდე მატჩები გამოავლენს.

**გია პლატონიშვილი**

ჭიდაობა

# თურქეთის გავლით



**თურქეთის ქალაქ ანტალიაში გუშინ დაიწყო ახალგაზრდა ფალავანთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში 12 ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობენ. საქართველოდან მხოლოდ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მოსინჯავენ ძალებს.** ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ლაშა ლომთაძე (50 კგ.ძ, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55ძ, მურთაზ კვესაძე, გიორგი მაყიშვილი (60ძ, ზაურ აბრამაშვილი, დავით ხუჭუა (66ძ, გიორგი გაბისიანი, დავით ხუციშვილი (74ძ, დავით მარსაგიშვილი, ბექა ჭელიძე (84ძ, ელიზბარ ოდიკაძე, თორნიკე ხიდეშელი (96ძ, ლევან ბერიანიძე, გიორგი საკანდელიძე (120ძ.

საქართველოს ნაკრები ემზადება ევროპის პირველობისთვის, რომელსაც ივლისის დასაწყისში თბილისი უმასპინძლებს.

**გიორგი გაგუა**

სოჭი – 2014

# მედვედევსა და პუტინს ეკოლოგები აფრთხილებენ



**ჩრდილო კავკასიის ეკოლოგიურმა სამსახურმა წერილი გაუგზავნა რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევსა და მთავრობის თავმჯდომარეს ვლადიმერ პუტინს თხოვნით, ნუ ააშენებენ ოლიმპიურ გზას ფსეხაკოს ქედზე მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის – კავკასიის ნაკრძალის ტერიტორიაზე რომ გადის.**

2014 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სოჭში აპირებენ საავტომობილო გზის გაყვანას ამ ნაკრძალის გავლით. ის „სათხილამურო კომპლექსამდე“ მივა, რომელიც ფსეხაკოს ქედზე უნდა აშენდეს „გაზპრომის“ დაკვეთით.

„გაზპრომის“ ოლიმპიური პროგრამა ითვალისწინებს ფსეხაკოზე (ზღვის დონიდან 1,5 – ათასი მეტრიძ – სათხილამურო კომპლექსს, 600-ადგილიან ოთხვარსკვლავიან სასტუმროს, ახალ გაზსადენს წელიწადში 3,27 მილიარდი კუბმეტრი გაზის გამტარიანობით, აგრეთვე სტადიონს 16 ათასი მაყურებლისთვის. სწორედ ამ კომპლექსამდე უნდა აშენდეს 25-კილომეტრიანი, ორ ზოლიანი გზა ადლერ-კრასნაია პოლიანას ფედერალური ტრასიდან. ასე იმუშავებს საბაგირო გზაც.

ეკოლოგების აზრით, ყოველივე ეს დიდ ზიანს მიაყენებს კავკასიის ნაკრძალის ბუნებრივ კომპლექსს, თანაც ის ეწინააღმდეგება რუსეთის კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც აკრძალულია საავტომობილო გზების მშენებლობა ნაკრძალების ტერიტორიაზე.

**ვალიკო სიმონიშვილი**

ინტერნეტიდან

## ვიტალი კლიჩკო – მაიორი



**მსოფლიო ჩემპიონს კრივში ვიტალი კლიჩკოს უკრაინის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ივანე სვიდმა თადარიგის მაიორის წოდება მიანიჭა.**

„იმედი მაქვს, მაიორის ახალი წოდება ასევე საპატიო დარჩება და არასოდეს მომიწევს თადარიგიდან გამოსვლა. მე და ჩემი ძმა სამხედრო მფრინავის შვილები ვართ და სუვოროვის სასწავლებლებში შესვლაზეც ვოცნებობდით“, – განაცხადა ვიტალიმ სამხრეულების გადაცემის დროს.

სამხრეულებთან ერთად ვიტალის შოკოლადის ტანკიც გადასცეს. აღსანიშნავია, რომ კლიჩკოების მამა სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალ-მაიორია.

## წვიმა აღარ შეაშინებთ

**ფრანგმა არქიტექტორმა მარკ მიმრამ გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსზე, პარიზში საჩოგბურთო სტადიონის „როლან გაროსის“ გასაშლელი სახურავის დაპროექტება-მშენებლობისთვის. იქ კი საფრანგეთის ღია ჩემპიონატი იმართება. მიმრამთან ერთად კონკურსში მონაწილეობდა კიდევ სამი არქიტექტორული ბიურო, თუმცა კომპეტენტურმა ჟიურიმ უპირატესობა თანამემამულეს მიანიჭა.**

სწორედ მიმრამმა დააპროექტა ცნობილი „ევროპის ხიდი“, რომელიც საფრანგეთს გერმანიასთან აკავშირებს სტრასბურგში, მდინარე რეინზე. ცენტრალური არენის გარდა აპირებენ „ფილიპ შატრიეს“ მახლობელი სხვა კორტების გადახურვასაც.

მიმდინარე სეზონში გასაშლელი სახურავი შეექინა „უიმბლდონის“ ცენტრალურ კორტსაც.



## ფანატები უფრო ხშირად შიშვლდებიან

**დიდ სპორტულ შეჯიბრებებზე ყურადღების ცენტრში ხშირად სპორტსმენები კი არა, საიდანღაც გამოვარდნილი შიშველი ფანატები ხვდებიან, რაც ახლა იშვიათობა არაა. ამ ადამიანებს სტრიკერებს ეძახიან, მათი გამოჩენის ისტორია კი თითქმის 35 წლის წინათ დაიწყო.**



ინგლისურმა გამოცემამ Te Sun-ის დრო გაიხსენა და ყველაზე ორიგინალური და საინტერესო შემთხვევების ფოტოსურათების თავისებური „ენციკლოპედიაც“ კი შეადგინა. ის შორეული 1974 წლიდან იწყება, როდესაც ინგლისისა და საფრანგეთის რაგბისტების მატჩზე ტვიკინჰემში მინდორზე დედიშობილა გამოვარდა ვინმე მაიკლ ო' ბრაიენი, სწორედ ის ითვლება გაზონებზე შიშველ-ტიტველად სირბილის „ფუძემდებელი“.

პირველი ქალი – სტრიკერი კი ერიკა რო იყო, იმავე ტვიკინჰემში 1982 წელს ინგლისელი და ავსტრალიელი რაგბისტების შეხვედრაზე რომ გაახარა ხალხი.

სტრიკერები განსაკუთრებით ეტანებიან ფეხბურთის, რაგბისა და კრიკეტის მატჩებს. მათთან ერთად ფოტოსურათებზე ხშირად ცნობილი სპორტსმენებიც აღმოჩნდებიან ხოლმე.

სათაყვანო თარიღები

# „და ქუდს გიხდის საქართველო, კონსტანტინე ბატონო!“



გუშინ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების დღე იყო — 115 წლისთავი. ვაი, რომ ბევრს არავის გახსენებია ეს თარიღი, რა გასაკვირია: ჩვენი ერი, არასდროს მდგარა ასე ახლოს უფსკრულის პირას, როგორც დღეს! გადაგვარებულია ქვეყანა, გათითოკაცებულია, სადაც „ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა“.

თუმცა, იმედია, რომ მაინც დავაღწევთ თავს ამ დავიდარაბას, იპოვის ერი შინაგან ენერგიას და გადარჩება, გადარჩება, რადგან იგი თქვენისთანა მამულიშვილებითაა ლიბოძლიერი, ბატონო კონსტანტინე!

მთელი საქართველო მიესალმებოდა, მთელი საქართველო ქუდს უხდიდა დიდ მწერალს. ასეა ახლაც, ფოტოჟურნალისტ ელგუჯა ნადარეიშვილის მიერ რამდენიმე ათეული წლის წინათ გადაღებულ ფოტოზე (იბეჭდება პირველად): დიდი კონსტანტინე ეტლში ზის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ, გვერდით თავისი საფიცარი შვილიშვილი კოკო მოუსვამს... გარშემო შეკრებილმა საზოგადოებამ კარგად იცის ეტლში მყოფთა ფასი.

ძვირფასი სილუეტები

# სევდა სამშობლოს გამო

**რა თქმა უნდა, ღმერთი ჩაერია:**

**იმ ბინაში, სადაც, ერთ დროს, თავისი სათაყვანო მხატვარი-სცენოგრაფი, დიდი სოლიკო ვირსალაძე ცხოვრობდა, დღეს თვითონ ცხოვრობს, ვირსალაძის ქუჩაზე მხატვარ-სცენოგრაფის თეიმურაზ (მურაზ) მურვანიძის ბინა-სახელოსნოა.**

**ვსაუბრობთ. გარეთ ვარდობისთვის არეული ამინდია.**

— ხშირად ვიდექი ხოლმე ამ სახლის ფანჯარასთან, ამ სამყაროში შეღწევა მსურდა. ბატონი სოლიკო ჩემი კუმირი, ჩემი იდეალი იყო... შესანიშნავი პედაგოგები მყავდნენ სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორატიულ სახელოსნოში, მაგალითად, ბატონმა ფარნა ლაპიაშვილმა ბევრი რამ მასწავლა, მაგრამ სოლიკოს ესთეტიზმი, მაინც ჩემი შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროდ იქცა და ამით ვამაყობ დღესაც... ჰოდა, აგერ, გვიან, რომ ანაწილებენ, თურმე, ფარული კენჭისყრით სახელოსნოებს, წარმოიდგინეთ, ბატონი სოლიკოს დანატოვარი ბინა მე შემხვდა!.. მირეკავს ცხონებული გოგი გუნია, ჩამოდი, ბიჭო, ნახე ბინაო!.. ამის შემდეგ როგორ არ ვიწამო სასწაული?!.

...აქ იქმნება ესკიზები, ჩანახატები, რომლებიც შემდეგ ხორცს ისხამენ სხვადასხვა თეატრებში. გასაკვირია (თუმცა, ჩვენგან რაღაა გასაკვირიძ, რომ მურაზ მურვანიძეს მოსკოვისა და პეტერბურგის, ევროპის უდიდესი ქალაქების მუსიკალურ თეატრებში უფრო აქვს „გასავალი“, ვიდრე თავის სამშობლოში, ის, ფაქტობრივად, უცხოეთში ცხოვრობს და ელიტარულ საზოგადოებას აოცებს უსაზღვრო ფანტაზიით. მისი ფერწერული, ჰაეროვანი დეკორაციები, კოლაჟის გამოყენება, ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს, ხოლო მსახიობებს განაწყობს თავისუფალი მოქმედებისთვის.

როდესაც, ერთხელ, ლენინგრადის მარინის თეატრში ადანის „კორსარის“ პრემიერაზე მიწვეული იყო ლეგენდარული მხატვარი-დიზაინერი ვალენტინო, მურვანიძის დეკორაციებით აღფრთოვანებულმა იკითხა: „როდის ცხოვრობდა ეს მხატვარი?“ ჰოდა, გამოეცხადა მურაზ მურვანიძე — როგორც ყოველთვის იმპოზანტური, ლაღი... ეს შეხვედრა დიდ იტალიელთან მეგობრობის საფუძველი გახდა.

1988 წელს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა პარიზში გასტროლებზე წარადგინა თ. მურვანიძის მიერ გაფორმებული სამი სპექტაკლი — „ვეფხისტყაოსანი“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ და „კორსარი“, აქვე გაიმართა მხატვრის პერსონალური გამოფენა, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა, ამ გამოფენის ერთ-ერთი ნამუშევარი სალვადორ დალის სახელობის სიურრეალიზმის მუზეუმში დაბინავდა.

საგასტროლო სპექტაკლების შესახებ და, კერძოდ, „კორსარის“ გამო გაზეთი „რუსკაია მისლ“ წერდა: „მურვანიძის სცენოგრაფიის წარმატება შეიძლება შევადაროთ ბაკსტის „შეჰერეზადას“ და დიაგილევის „რუსულ სეზონს პარიზში“, „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნი“ კი აღნიშნავდა: „შთამბეჭდავია საგასტროლო დადგმები, ულამაზესია თეიმურაზ მურვანიძის დეკორაციები, რასაც მაყურებელი განუწყვეტელი ტაშით ხვდება“.

* * *

**ბავშვობაში ავიაკონსტრუქტორობაზე ოცნებობდა, 12 წლისა საქართველოს ჩემპიონი გამხდარა ავტოსამოდელო სპორტში, გამოგონებებიც კი ჰქონია...**



**თუმცა სახვითი ხელოვნების სიყვარულმა გადასძლია და დღეს მურაზ მურვანიძე, სპეციალისტების აღიარებით, მსოფლიო მნიშვნელობის მხატვარ-დეკორატორად გვევლინება. „დღევანდელ თეატრალურ სამყაროში თეიმურაზ მურვანიძეს უჭირავს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ადგილი მსოფლიო მხატვრობის ოლიმპზე“** — აღნიშნავს მორის ბეჟარი.

საქართველოში კი, რა გასაკვირია, შურთ მისი, ჩაუშალეს უამრავი პროექტი, მაგრამ, რაც ამ ბოლო დროს მოხდა, მართლაც მეტისმეტია: ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილთან მეგობრობის გამო ჩამოაცილეს აღორძინებული მთაწმინდის პარკის მხატვრობას...

— პრინციპში, ორივენი ვიყავით ავტორები — ბადრი ფულით, მე — ჩემი ფანტაზიით. ძალიან დიდი მეგობრობა გვქონდა. 63 ჰექტარი იყო ასათვისებელი, მხოლოდ 12 ჰექტარი „მოვასწარით“ და უკვე უჩემოდ კეთდება იქაურობა... პოლიტიკოსთა ხუშტურმა, მათმა ეგოცენტრიზმმა ყველაფერი ჩაშალა... ღმერთმა გაუმარჯოთ, გამიხარდება თუ იმ ეროვნულ სულს ჩადებენ ნამუშევრებში, რაც მე და ბადრის გვქონდა ჩაფიქრებული და რაც ჩვენი ბავშვების აღზრდას ხელს შეუწყობს...

**უახლესი** გეგმების შესახებ 70 წლის მხატვარი ამბობს, რომ პარიზისთვის მუშაობს კაზანოვას ქანდაკებაზე, ხოლო მორის ბეჟარის ქანდაკებას ამზადებს ლოზანაში დასადგმელად, აქვს საინტერესო მიწვევები ევროპის რამდენიმე თეატრში... და სევდიანად საუბრობს თავისი ბედკრული სამშობლოს დღევანდელ ვითარებაზე...

— მე არავისტი არა ვარ... უდიდეს პატივს ვცემ ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს და ერთი მწყინს, რომ ასე იკარგება ქართული სიდარბაისლე, წინაპრისადმი, უფროსი ადამიანებისადმი პატივისცემა...

თეიმურაზ მურვანიძეს — სულითა და გულით ქართველს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, მურვანიძე-მახარაძის ნაშიერის „გადარეულ“ ბაბუას სჯერა, რომ საქართველო დააღწევს თავს ამ დავიდარაბას და ქართული ხელოვნება უფრო მკვეთრად იკაშკაშებს მსოფლიოს სიგრძე-განედებზე.

**ვილენ მარდალეიშვილი**

გაბრწყინება

# გვასახელა და მერე როგორ!

**მსოფლიო მუსიკალური კულტურის აღიარებული ცენტრის — იტალიის დედაქალაქ რომიდან ორმოციოდე წუთის სავალზე, ულამაზესი ბუნებისა და მეღვინეობის მხარეში მდებარეობს პატარა, ძირითადად შეძლებული ხალხით დასახლებული ქალაქი ფრასკატი.**



აი, სწორედ ამ ქალაქში 8-10 მაისს გაიმართა ბავშვთა და ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსი „მოცარტი“. მასში 20-მდე ქვეყნის მუსიკოსები მონაწილეობდნენ ბელგიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, იაპონიიდან, სამხრეთ კორეიდან, დანიიდან, და ა. შ. საქართველოს კონკურსზე წარმოადგენდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის I ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის II კლასის მოსწავლე ზურაბ (ზუკა) ცირეკიძე.

მან წარმოადგინა ქვეყანა და მერე როგორ! **8 წლის პიანისტმა თავის ასაკობრივ კატეგორიაში პირველი პრემია დაიმსახურა!** საერთაშორისო ჟიურიმ არგენტინელი მუსიკოსის ხელმძღვანელობით, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მუსიკოსები ჩეხეთიდან, იტალიიდან და საფრანგეთიდან, შესაძლებელი 100 ბალიდან 96 ქულა პატარა ქართველ პიანისტს მიაკუთვნა! დიდი მოწონება დაიმსახურა ზუკა ცირეკიძის საკონკურსო პროგრამამ: გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის „მენუეტი“, დიდი ნორვეგიელი კომპოზიტორის ედვარდ გრიგის „ვალსი“ და გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის დიმიტრი კაბალევსკის „ტოკატინა“.

„რითმის გრძნობა, საოცარი მუსიკალური მეხსიერება, არტისტიზმი, სცენისა და თავისი საქმისადმი დიდი სიყვარული — აი, ის ძირითადი ნიშნები, რითაც გამოირჩევა პატარა პიანისტი“, — ამბობს მისი პედაგოგი ქალბატონი ესმა ქირია, რომლის ამაგიც ზუკას აღზრდასა და გამარჯვებაში ძალზე მნიშვნელოვანია. ასევე პიანისტის წარმატებას ხელი შეუწყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, პირადად მინისტრმა, ბატონმა ნიკა რურუამ. ზუკა ცირეკიძის იტალიის საერთაშორისო კონკურსზე გამგზავრება და იქ ყოფნა მთლიანად სამინისტრომ დააფინანსა.

წინ კი ხანგრძლივი, რთული და საინტერესო მუსიკალური ცხოვრებაა, და, ცხადია, დაუღალავი და ბეჯითი შრომა!.. ვინ იცის, იქნებ საქართველოს ახალი ელისო ვირსალაძე, ლექსო თორაძე ან ალექსანდრე კორსანტია ეზრდება? წარმატება ვუსურვოთ თბილისის №21 საჯარო სკოლის II კლასის წარჩინებულ მოსწავლეს. სკოლა მისით ამაყობს!

**ალუდა ნიქაბაძე**

## განცხადება

**2009 წლის 27 მაისს, 14 სთ-ზე დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. მირზაანის კულტ. სახლში გაიმართება აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს რაიონის, სოფ. მირზაანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ფიროსმანის“ კუთვნილი ქონება:**

1. კულტურის სახლი;
2. კოოპერატივის კანტორის შენობა;
3. „ატს“-ის შენობა;
4. წყლის აუზი;
5. შინმოუსვლელთა სტენდი თავისი ტყე-პარკით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიაკითხეთ სსკ „ფიროსმანის“ (1ძ გაკოტრების მმართველს კახი გონაშვილს სოფ. მირზაანში. აუქციონი გაიმართება დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოში.

**გაკოტრების მმართველი კახი გონაშვილი**

**შპს ნიუჰოსპიტალის ოფთალმოლოგიური სექტორის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ ცენტრის ყოფილ თანამშრომელს აიდა მინაძეს მეუღლის**

**ჯემალ ქარუმიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**ზურაბ ერქვანია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ღირსეული მამულიშვილის და გამორჩეული პიროვნების**

**იდენ (გოდერძი) მანაგაძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ქალბატონ ია შალამბერიძეს, ქალბატონ თამარ მანაგაძეს, ქალბატონ სალომე მეცხვარიშვილს, ახლო ნათესავებს და მეგობრებს.**

## დაიჯესტი

### რეკორდული კურსით



**ზოგიერთმა თაღლითმა სახელი კრიმინალური რეკორდით გაითქვა. გასულ გაზაფხულს მოსკოვში დააკავეს 38 წლის ალიშერ ტრიფონოვი, რომელიც თავს მზვერავ გენერლად ასაღებდა და ერთ-ერთ ბიზნესმენს 150 მილიონი რუბლი „აახია“ ბიზნესში „დიდი ხალხის დახმარების“ დაპირებით.**

ზაფხულში კი ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა მოსკოვის ბელორუსიის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე არალეგალური გამცვლელი პუნქტების მთელი ქსელი დახურეს, რომლის მუშაობის პერიოდში ასობით კლიენტი ათიათასობით დოლარით მოატყუეს. ერთ-ერთი მოლარე ქალბატონი მაშინ ჩავარდა, როცა გადაცმულ ოპერატიულ თანამშრომელს ერთ ჯერზე... 3,5 ათასი დოლარი (!!ძ დააკლო.

### ობოზე მდგარი ნატვრის ხეები



**მრავალი ხალხის ეპოსში წმინდა, ძლიერ, ტანმაღალ ხეებს ღმერთებსა და დემონებს შორის ორთაბრძოლებს უკავშირებენ. სლავურ მითოლოგიაში მეხთმფრქვეველი ღმერთი პერუნი წმინდა მუხის ქვეშ გველისებრ დემონს ამარცხებს.** ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში მზის ღმერთი რა გიგანტური სიკომორის ძირში გველს კლავს. ძველსკანდინავიურმა ღმერთმა ოდინმა კი, სიბრძნის მოსაპოვებლად, საკუთარი თავი შუბით გიგანტურ იფანს იგდრასილს მიარჭო, რომელიც მაცხოველებული და წმინდა თაფლით იყო გაჟღენთილი. სამხრეთ ციმბირისა და მონღოლეთის ხალხებისთვის კი შამანური ხეები იყვნენ მთის წვერზე – ობოზე – განმარტოებით მდგარი რბილწიწვიანა (ლარიქსიძ, ციმბირული კედარი და არყის ხე. ასეთ ხეებს ბაფთებითა და წვრილ ჭრელ ქსოვილის ნაჭრებით – დარცოგებით – რთავდნენ მთების სულების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

### დამნაშავეთა სპორები

**ზამთარში დაბადებული ბავშვები წლის სხვა დროს დაბადებულ თავის ტოლებთან შედარებით სამჯერ უფრო ხშირად ავადდებიან ბრონქიალური ასთმით.** მეცნიერებმა არა მარტო კიდევ ერთხელ დაადასტურეს ეს ამბავი, არამედ „ზამთრის“ ბავშვებში დაავადების უფრო მაღალი რისკის მიზეზიც დაასახელეს. თუკი უწინ ამ დაავადებას ზამთრის პერიოდში დიდად გავრცელებულ რესპირატორულ ვირუსებს უკავშირებდნენ, ახლა მეცნიერებმა ასთმასა და ზამთრის ჰაერში სოკოების სპორების მაღალ შემცველობას შორის კავშირის დამყარება შეძლეს.



**უცხოური პრესის მიხედვით**

## ჯანმრთელობა

### კაკალი – მკერდის კიბოსგან დამცველი

**რათა შევამციროთ სარძევე ჯირკვლების კიბოს აღმოცენების რისკი, სპეციალისტები გვირჩევენ რაციონში კაკლის შეტანას, ის შეიცავს ომეგა-3-ის ცხიმოვან მჟავას, ანტიოქსიდანტებსა და ფიტოსტეროლებს, ხელს რომ უშლიან უჯრედების კიბოვან გარდაქმნებს.**



მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტები, რომელთა დროსაც თაგვებს ყოველდღიურად კვებავდნენ კაკლით და მათ იშვიათად უჩნდებოდათ სარძევე ჯირკვლების კიბო.

სპეციალისტები გვირჩევენ, ყოველდღიურად ვჭამოთ მცირეოდენი კაკალი. ეს აგვაცილებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსაც. ადრე დაადგინეს, რომ კაკლის გამოყენების წყალობით სისხლ-ძარღვები დიდხანს ინარჩუნებენ ელასტურობას.

### სიმსუქნე რომ არ შემოგიბრუნდეთ

**რათა ხანგრძლივი დიეტის შემდეგ ზედმეტი კილოგრამები აღარ შემოგიბრუნდეთ, უნდა მიეჩვიოთ ზოგიერთ წესსა და ჩვევას, რაც დიდხანს შეგინარჩუნებთ ტანადობას და ჯანმრთელობასაც**

**უარი თქვით კალორიების კონცენტრატებზე** – ესაა კარაქი, მსუქანი ყველი, არაჟანი, ნამცხვრები, შოკოლადი, შაშხი, ღორის ხორცის ყველანაირი კერძი. თუ გადახედავთ თქვენს გემოვან ჩვეულებებს, მაშინ მიხვდებით რომ რბილი ყველი ნაკლებად გემრიელი როდია სხვაზე, ხოლო ნამცხვარი ხილითა და იოგურტით არ ჩამოუვარდება შოკოლადსა და ათქვეფილ ნაღებს.



**შეიყვარეთ სანელებლები.** გაბედულად იხმარეთ სანელებლები და ბალახეული. ისინი ნებისმიერ კერძს უჩვეულო პიკანტურ გემოს აძლევს.

**ერიდეთ გემოს სტიმულატორებს.** გახსოვდეთ, რომ ყველა მარილიანი, მწვავე, ცხარე, აგრეთვე გლუტამატ ნატრიუმის შემცველი ხორციანი დელიკატესები და კონსერვები მიგაჩვევენ თქვენ, რომ ყოველთვის მოთოკოთ თქვენი გემოვნება ისე, რომ ყოველთვის სჭირდებოდეს ახალი სტიმულატორები. დიეტა, ძირითადად დაფუძნებული ნატურალურ მცენარეულ პროდუქტებზე, გასწავლით თქვენ, დატკბეთ უბრალო საჭმლის გემოთი – ხორბლის პურით, კაკლით, სალათებით.

ნუ გეშინიათ ცხოვრების გართულებისა, თუ გახდომა გინდათ, ნუ იყიდით ისეთ პროუქტებს, მომზადება ხომ არ სჭირდება. ეს არ უნდა იყოს ძეხვი, სარდელი, ფუნთუშები. თქვენ მალე შეიყვარებთ სასარგებლო საკვებს, თუკი გაირჯებით მის მოსამზადებლად.

### რეჰანი საჭმლის მონელებისთვის

**მოდუნებული საჭმლის მონელების პრობლემა, შეიძლება, გადაიჭრას რეჰანის ჩაის დახმარებით. მისი მოდულება მარტივია.** 1 ჩაის კოვზ რეჰანს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი. სვით შეუზღუდავად. რეჰანის ნაყენი ეხმარება კუჭის წყლულის შეხორცებას.

### თუ თავი აგტკივდათ

**თავის ქალის შიდა წნევის მომატების დროს ყრუ ტკივილის მოხსნა შუბლზე მარილწყლის კომპრესის დადებით შეიძლება.** ქსოვილი მარილით გაჯერებულ ხსნარში დაასველეთ, შემდეგ კარგად გაწურეთ და შუბლზე მიიდეთ. მედიკოსთა რეკომენდაციით კომპრესის ზემოდან თბილი შარფი უნდა შემოიხვიოთ.



### ფაფა საუზმისთვის

**მიეჩვიეთ ყოველ დილას ასეთი ფაფის ჭამას – საღამოთი 3 სუფრის კოვზ მშრალ წიწიბურას დაასხით ნახევარი ჭიქა კეფირი ან მაწონი და აურიეთ. დილით, როცა მასა გაფუვდება, მიირთვით ის ყოველგვარი გათბობა-გაცხელების გარეშე.** ასეთი ფაფა შეიცავს უჯრედებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, რკინას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, სისხლწარმოქმნას, ებრძვის კუჭშეკრულობას.

### საზელი ართრიტისთვის

**ეს ნარევი, რომლითაც სახსრების დაზელვა შეიძლება ანთების დროს, კეთდება ყველასთვის ხელმისაწვდომი საშუალებით.** აუცილებელია 200 გრ. მარილი, 200 გრ. მშრალი მდოგვი (ფხვნილიძ და 100 გრ. არაყი. ეს ყველაფერი ერთმანეთში უნდა აურიოთ. ნარევით დავიზილოთ მტკივნეული სახსრები და შევფუთოთ მატყლის ქსოვილით.



### ვარჯიში თვალებისთვის

**ყველაზე უბრალო ვარჯიში – ტექსტის კითხვა ხან ერთი, ხან მეორე თვალით.** თვალს, რომელიც ისვენებს, შეიძლება დააფაროთ ხელის გული. იკითხეთ დღეში ნახევარი საათი. მაგრამ მხოლოდ დღის სინათლეზე, უკეთესია, თუ ფანჯარასთან დაჯდებით.

**უცხოური პრესის მიხედვით**

რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

მონღოლეთმა რუსეთს უვიზო რეჟიმის დაწესება შესთავაზა. მისი თქმით, ამ წამოწყების უთუო წარმატების უტყუარი საწინდარია რუსეთ-მონღოლეთის ურთიერთობის სამასწლიანი პერიოდი, როდესაც მონღოლები დაუბრკოლებლად გადადიოდნენ რუსეთის ტერიტორიაზე.



* * *

დელფინარიუმში სული განუტევა ბავშვების საყვარელმა ტიმოშკამ. ახლა დელფინარიუმის ხელმძღვანელობა ახალ დარაჯს ეძებს.

* * *

– პრეზერვატივები გაქვთ?

– გვაქვს.

– გასაოცარია, ეს ხომ ბიბლიოთეკაა!

* * *

დიდსა და პატარა ქალაქებს შორის ის განსხვავებაა, რომ დიდ ქალაქში ბევრის ნახვა შეიძლება, პატარაში – ბევრის გაგება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.